გაზეთი ბოლოს, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№53 (948) 23 - 25 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სად გაქრა აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების კუთვნილი მილიონი ლარი?

გვ. 8

ექსკლუზიური ინტერვიუ მანჩო გიორგობიანთან

- ვინ არის, რატომ შეუქმნეს სკანდალური რადიკალი ქალის იმიჯი
- რა კავშირი აქვს ღევან გაჩეჩიღაძესთან, ირაკლი ადასანიასთან, კახა კუკავასა და საღომე ზურაბიშვილთან
- რატომ უწოდებს მატყუარას თინა ხიდაშელს
- რატომ დაუპირისპირდა ნიკა მელიასა და ბავშვობის მეგობარ გიგა ბოკერიას
- ვის ემუქრება სამაგიეროს გადახდით
- ვინ წარმოუდგენია თბილისის ღირსეულ მერად და ვინ არის მისი ფავორიტი მინისტრი
- აპირებს თუ არა პოლიტიკაში მოსვლას
- რატომ არის უკმაყოფილო პარლამენტით და როგორ აფასებს პოლიტიკურ პროცესებს

გვ. 3–4

დარიალის ხეობის შემდეგ საფრთხე სტეფანწმინდას ემუქრება?

გვ. 8

გეოლოგ **სანდრო თვალჭრელიძის** რეკომენდაცია სტიქიის თავიდან ასაცილებლად

„მთავრობა ახალ-ახალ სიურპრიზს ელოდოს ჩვენგან!“

რას დაპირდა „ვერსიას“ და პოლიტიკური კორუფციის რა სქემა გაშიფრა **ხათუნა გოგორიშვილმა**

გვ. 5

„სმარტში“ მიკრობიოლოგიური ლაბორატორია დამონტაჟდა

პირველად საქართველოში, „სმარტი“ პროდუქციის ხარისხს საკუთარ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში გააკონტროლებს

გვ. 7

„არ არის საჭირო, პოლიტიკაში მუდმივად ამ შემადგენლობით ვიყოთ“

რატომ გადაწყვიტა საბურთალოელების ღობისტობა და როდის ელის კოალიციის დაშლას **დავით ზურაბიშვილი**

გვ. 6

„საქართველოს ევროპული ინტეგრაცია შეუქცევადია“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბელგიის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში სიტყვით გამოვიდა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ქართველმა ხალხმა აირჩია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, როგორც საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია: **„ჩემთვის დიდი პატივია, წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა თქვენთან ერთად აქ, ბრიუსელში, რათა ერთად გადავხედოთ საქართველოს წარსულის გაკვეთილებს და ამასთან აღვნიშნოთ ჩვენი პარტნიორობის შედეგები და სამომავლო პერსპექტივები. თითქმის საუკუნის წინ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შექმნა ერთ-ერთი პირველი სოციალურ-დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოში. სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იარსება მხოლოდ სამი წელი. 70 წელი დაგვჭირდა ჩვენი დამოუკიდებლობის აღსადგენად, ევროპულ ოჯახში საქართველოს ინტეგრაცია შეუქცევადია. წარმოიდგინეთ, როგორ იამაყებდნენ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი მამები ისევე, როგორც ყველა ქართველი, დამოუკიდებლობით, რომელიც დღეისთვის მოვიპოვეთ. თუმცა, ისტორიამ გვასწავლა, როგორც მან ასწავლა ევროკავშირის ქვეყნებს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება ვერ მიიღწევა იარაღით. სამაგიეროდ, უნდა დავიცვათ ჩვენი მომავალი ძლიერი დემოკრატიული საფუძვლებით და ინტეგრაციით გაზიარებული ღირებულებების მქონე უფრო ფართო საერთაშორისო საზოგადოებაში. სწორედ ამ ხედვამ ჩამომიყვანა ბრიუსელში, რათა ხელი შევუწყოთ საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. მომდევნო თვეში, ჩვენ ხელს მოვაწერთ ასოცირების საეტაპო ხელშეკრულებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებას ევროკავშირთან. წელს ევროკავშირი ზეიმობს აღმოსავლეთით გაფართოების 10 წლისთავს. ყველანი მოწმენი ვართ იმ სარგებლის, რომელიც ევროკავშირის ამ ისტორიულმა გაფართოვებამ მოუტანა როგორც ახალ წევრ ქვეყნებს, მათ მოსახლეობასა და ეკონომიკას, ასევე „ძველ“ წევრ-სახელმწიფოებს. მან მიგვიყვანა უფრო ფართო ერთიან ბაზრამდე მნიშვნელოვანი ახალი სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობებით. ამან კი შედეგად მოგვიტანა უფრო კონკურენტუნარიანი ევროპა და ევროპელებს შეახსენა, რომ ევროკავშირი პოლიტიკური პროექტია, რომელიც მოწოდებულია, განავრცოს მშვიდობა და დემოკრატია მთელ კონტინენტზე.**

საქართველო ამ ოცნების მოზიარეა. დარწმუნებულნი ვართ, შეგვიძლია, ასევე შევიტანოთ გარკვეული წვლილი ამ ევროპული პროექტის შემდგომ წარმატებულ განხორციელებაში. საქართველოს ევროპული ინტეგრაცია შეუქცევადია. ევროპარლამენტის არჩევნები 22 მაისს იწყება. იმედია, ერთ მშვენიერ დღეს, ქართველი ხალხიც გახდება ამ უდიდესი დემოკრატიული მოვლენის მონაწილე“.

„პირველი“

შსს-მ ადიგენის რაიონში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ავთანდილ ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ავთანდილ ხ-მ ადიგენის რაიონის სოფელ უდეში, ნასესხი ფულის გადაუხდელობის გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას, 1960 წელს დაბადებულ მერი ა-ს ცივი იარაღით მუცლის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, რომელიც შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით). გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

„ვერსიანიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებს წყალბურთის განვითარებისკენ მოუწოდა

„გახდი წყალბურთის მხარდამჭერი“ — ამ ლოზუნგით წყალბურთის განვითარების ფონდის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.

მთავრობის მეთაურმა საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლების მოპოვება მიულოცა, გამარჯვება უსურვა სპორტსმენებს და იმედი გამოთქვა, რომ წარმატებული ასპარეზობით ისინი საქართველოს გაახარებენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა ქართული წყალბურთის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ ფინანსური მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია სპორტული წარმატების მიღწევა: **„სახელმწიფოს რამდენადაც შეუძლია გვერდში უდგას სპორტს, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს მარტო სახელმწიფოს მხარდაჭერა საკმარისი არ არის. სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ერთობლივად უნდა იზრუნონ, სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე და იმაზე, რომ ჩვენს წყალბურთელებს შესაბამისი თანამედროვე ინფრასტრუქტურა ჰქონდეთ. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი შეხვედრა კიდევ ერთი სტიმული იქნება ამ ტრადიციული და ლამაზი სპორტის აქტიური ხელშეწყობისა და მისი გრძელვადიანი მხარდაჭერისთვის“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა წყალბურთის გულშემატკივრებს, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლებს ქართული წყალბურთის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

„პირველი“

68 დევნილ ოჯახს ბინებს გადასცემენ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე ქუთაისში 68 დევნილ ოჯახს ბინებს გადასცემს.

უწყების ინფორმაციით, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ქუთაისში, ჭავჭავაძის ქ. №58-ში მდებარე ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარა და საცხოვრებელ ფართად გადააკეთა. სამინისტროში განმარტავენ: **„აღნიშნულ შენობაში საცხოვრებელი ფართის მისაღებად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოში სულ 1500 განაცხადი დაფიქსირდა, საიდანაც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, კომისიამ 68 დევნილი ოჯახი შეარჩია. აღნიშნულ ოჯახებს საცხოვრებელი ფართები პირად საკუთრებაში გადაეცემათ“.**

„პირველი“

ევროპარლამენტის არჩევნები დაიწყო

ევროპარლამენტის არჩევნები 22 მაისს დაიწყო და 4 დღე გაგრძელდება. ხმის მიცემის უფლებით 400 მილიონი ადამიანი სარგებლობს. ევროპელები 2014-დან 2019 წლის პერიოდში 751 დეპუტატს აირჩევენ.

წევრ-სახელმწიფოებს ევროპარლამენტში წარმომადგენლობა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ჰყავთ.

გერმანიას 96, საფრანგეთს 74, დიდ ბრიტანეთს და იტალიას 73-73 დეპუტატი ჰყავს. ყველაზე პატარა ქვეყნები – კვიპროსი, მალტა, ესტონეთი და ლუქსებურგი 6-6 დეპუტატით არიან წარმოდგენილნი.

28 წევრი სახელმწიფოდან პირველები დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების ამომრჩევლები მისცემენ ხმას.

„პირველი“

სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმო მსახურება აღევლინება

23 მაისს სვიმონ კანანელის ხსენებისა და აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით: **„ყოველი წლის 23 მაისი, მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენების დღე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შარშან აფხაზეთის დღედაც გამოაცხადა.**

როგორც ცნობილია, წმინდა სვიმონ კანანელი სოხუმთან ახლოს, სოფელ კომანშია, დაკრძალული. ამდენად, ბუნებრივია, მოციქულის მიმრქმელი ამ მხარის ზეიმი მის სახელს დაუკავშირდეს.

წმინდა სვიმონ კანანელის ხსენებასთან დაკავშირებით საზეიმო მსახურება აღევლინება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, რომელიც 12 მოციქულის სახელზეა აგებული. 23 მაისს ლოცვა დაიწყება 17:00 სთ-ზე, ხოლო წირვა 24 მაისს – 10:00 სთ-ზე. მსახურებას გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა აღასრულებს.

23 მაისს, 15:00 სთ-ზე კი საქართველოს საპატრიარქოში აფხაზეთისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარდება“.

„პირველი“

ცოლის მკვლელმა თავი ჩამოიხრჩო

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში მომხდარი მკვლელობა გახსნეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში, ღამით, თეიმურაზ ქ-მ საკუთარ საცხოვრებელ სახლში მეუღლეს, 1984 წელს დაბადებულ რუსუდან ბ-ს ცივი იარაღის გამოყენებით ყელის არეში ორი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ქალბატონი ადგილზევე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა თეიმურაზ ქ. მომხდარიდან რამდენიმე საათში სოფელ ოჩხამურის ტერიტორიაზე ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და თვითმკვლელობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 115-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„თავისუფლება დავკარგე!“

რატომ უწოდებს მაფყუარას თინა ხიდაშელს, ვის ემუქრება სამაგიეროს გადახდით და ვის დაეხმარება ადგილობრივ არჩევნებში სკანდალური მანჩო გიორგობიანი

„ლა ტრუფეს“ სკანდალის გმირი და ნაციონალების მერობის კანდიდატ ნიკა მელიასთან ორგზის დაპირისპირებული ქალი, 43 წლის მანჩო გიორგობიანია, რომლის, ზოგჯერ ხუმრობით, ზოგჯერ კი მუქარით ნათქვამი ფრაზები სრულიად თბილისმა აიტაცა. მართალია, ამბობს, სულაც არ ვარ ეპატაჟურიო, მაგრამ მელიას მისეულმა შეფასებებმა თავი ყველას უცებ დაამახსოვრა. ნიკა მელია „კაცააბრაზნად“ მონათლა, ბავშვობის მეგობარ გიგა ბოკერიას „ჩაბეტონებით“ დაემუქრა, საუბარში ხშირად რუსულ ეპითეტებს იყენებს და ამბობს, რომ ინგლისურ ბარბარიზმებზე მეტად რუსული მოსწონს. ესეც მისი უფლებაა ისევე, როგორც პოლიტიკური არჩევანი — მანჩო გიორგობიანი ზეპარტიული, რიგითი ამომრჩეველია, რომელსაც არც ბურჯანაძის, არც „გრეჩიხას“ და არც „ოცნების“ საარჩევნო შტაბთან არაფერი აკავშირებს და ადგილობრივ არჩევნებზე ხმას სალომე ზურაბიშვილის „საქართველოს გზას“ მისცემს. საინტერესო პროფესია და ბეგრაუნდი აქვს, კიდევ უფრო საინტერესო ოჯახი და სამეგობრო წრე ჰყავს. მოკლედ, ვინ არის მანჩო გიორგობიანი და რა არის მისი პოლიტაქტიურობის მიზეზი — „ვერსია“ ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად რესპონდენტს, მანჩო გიორგობიანს ბევრ საინტერესო თემაზე ესაუბრა.

— პროფესიით „ტელევიზიონშჩიკი“ ვარ, 2006-2007 წლებში „იმედის“ კომერციული სამსახურის უფროსი ვიყავი, ტელევიზიაში მუშაობა კი 1987 წლიდან დავიწყე.

— მამის გავლენით?

— მამაჩემი ერთ-ერთი პირველი და ძალიან ცნობილი სპორტული კომენტატორი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო კალათბურთში. ისე, დედაც და მამაც ტელევიზიაში მუშაობდნენ, მე რადიოში უშტატო კორესპონდენტი ვიყავი 14 წლიდან. ადრე „პიონერფილმშიც“ ვიყავი, 11 წლისა ფილმში გადამიღეს, ფილმებსაც ვიღებდი. 17 წლიდან მუშაობა დავიწყე, ხმის ოპერატორი ვიყავი, ვიდეომომენტაჟე, კორესპონდენტი, რედაქტორი, მერე ტელევიზიისთვის პირველი ინტერნეტგვერდი გავაკეთე, ზაზა შენგელიას თანაშემწეც გახლდით. გადაცემა „მატერია“ თავიდან ბოლომდე ჩემი აწყობილია.

— პარალელურად, საპროტესტო აქციებზეც დადიოდით. შესაძლოა, აქედან მოდის ინფორმაცია, რომ თქვენ და ლევან გაჩეჩილაძე კლასელები იყავით და 2009 წელს არჩევნებშიც ეხმარებოდით.

— აქციებზე დავდიოდი, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. ეს მოგონილი თემებია, უბრალოდ, ქალაქი ძალიან პატარაა. რაც თავი მახსოვს, ნინო მიქელაძესა და ლევან გაჩეჩილაძეს ვიცნობ, მათ მშობლებსაც ვიცნობდი, მერე კი არ გამიცნია, ცნობილები რომ გახდნენ. დიდიან-პატარიანად, ყველა ერთ წრეში ვტრიალებდით.

— ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში ყოფილხართ და თურმე, ამ არჩევნებში მას ეხმარებით. ესეც მოგონილია?

— ჯერ ერთი, პარტიული საერთოდ არ ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ. უბრალოდ, მინდოდა, ბურჯანაძე მეორე ადგილზე გასულიყო. ამ არჩევნებში ვეხმარები ნინუკა ბორჩხაძეს, რომელიც მთაწმინდის რაიონში მაჟორიტარად იყრის კენჭს კახა კუკავას პარტიიდან. განათლებული, მებრძოლი, არაჩვეულებრივი ჟურნალისტი და მართალია ადამიანია. მისი მოსყიდვა ბევრჯერ უნდოდათ და არ გაიყიდა. ასევე, საკრებულოში აუცილებლად უნდა მოხვდეს ალეკო ელისაშვილი. ვიცი, რას სთავაზობდნენ ამ ადამიანებს და რაზე თქვეს უარი. ბევრი გაიყიდა, ბევრიც არა — ხომ იცით, რა წლებიც იყო...

— ახლა ყველაზე სკანდალურ თემაზე გადავიდეთ — მიმდინარე სასამართლო პროცესი გაქვთ ნიკა მელიას წინააღმდეგ „ლა ტრუფეში“ მომხდარი დაპირისპირების გამო. ახლა რა ეტაპზეა სასამართლო?

— ეს ისტორია უკვე ყველამ იცის. როგორც კი მიხეილ სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებით სავსე კაფედან გავიდა, დიდი ღრიანცელი ატყდა და ჩვენს მაგიდასთან ნიკანორ მელია და ბესო გაზდელიანი, ისანი-სამგორის გამგებლის მოადგილე მოვიდნენ. პირველი, რაც ჩვენთან აგდებული ტონით საუბრის შემდეგ დავინახე, ნიკა მელიამ ჩვენს მაგიდასთან მჯდომ ბექა მაზიაშვილს დაარტყა. გაზდელიანი პროკურატურამ საერთოდ საქმიდან გამიქრო და ახლა ვიცანი, 9 აპრილს. როცა მელიამ ბექას დაარტყა, გაზდელიანი ყელში მწვდა და იმხელა მთხლიშა, გავფრინდი! გაუგებარია, რატომ მისცა პროკურატურამ ამ საქმეს 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილის კვალიფიკაცია, თითქოს, ჩხუბი მარტო მელიამ დაიწყო — ეს იყო ჯგუფური ხულიგნობა. არც ის მესმის — მიუხედავად იმისა, რომ თავს ვიცავდით, ხულიგნობის ბრალდება მხოლოდ ბექა მაზიაშვილს რატომ ეკუთვნის? მაშინ მეც მეკუთვნის, კანონი ყველასთვის თანაბარი უნდა იყოს! მოკლედ, ვფიქრობ, გამოძიების პროცესში პროკურატურამ ნაციონალებს ხელი ყველანაირად შეუწყო. სასამართლოზეც იგივე ხდება. თავიდან ნეიტრალური მოსამართლე გვყავდა, ახლა დანიშნეს ცნობილი ზონდერმოსამართლე, რომელიც კიდევ ერთ შეთითხნილ საქმეში ფიგურირებს, სადაც მელია ცრუმოწმედ იკითხება. ნიკანორს წინასაარჩევნო პიარში შეუწყვეს ხელი და ეს საქმე გაიყინა. ისე, მელიას პასპორტით ნიკანორი ჰქვია, თუმცა მისი „კლიჩკა“ და უშიშროებაში მიღებული „პაზივნოი“ სულ არ მაინტერესებს. უშიშროებაც რომ არ გავიხსენოთ, ნაციონალების ზონდერიც არ იყო? თავად მყავს ნანახი 7 ნოემბრის კადრებში, სადაც ხალხს წიხლებს ურტყამდა. ზუსტად ასეთივე ზონდერი იყო გაზდელიანიც. საერთოდ, ცნობილი ფაქტია, რომ სააკაშვილი გამგებლებად გამოჩენილ ზონდერებს ნიშნავდა.

— თქვენი მეორე შეხვედრა 9 აპრილის მემორიალთან კიდევ უფრო გახმაურებული იყო. იქ რაღა მოხდა?

— სადაც რუსებზე მეტად გაგვწირეს 7 ნოემბერსა და 26 მაისს, ახლა მელიას იქ მოსვლა და პატივის მიგება სურს დაღუპული გმირების ხსოვნისთვის? ამის უფლება არ აქვს.

— თქვენ გაქვთ უფლება, მემორიალთან მოსვლა დაუშალოთ?

— მაქვს! 9 აპრილისა და იმ პერიოდის ყველა აქციის მონაწილე ვარ ირაკლი კაკაბაძესთან, ლევან ვასაძესა და მთელ ჩვენს თაობასთან ერთად. იქ ვათენ-ვაღამებდით. მიმაჩნია, რომ ამ ქალაქსა და ქვეყანაში ბევრი რამის უფლება მაქვს, ბევრი ვიბრძოლე, ბევრი გავიღე საქართველოსთვის. სხვათა შორის, მელიამ ორიოდ დღის წინ ისეთი სისულელე თქვა, მგონი, დაავიწყდა, კენჭს ნაციონალებიდან რომ იყრის და თავი „ოცნებიდან“ ჰგონია. ზუსტ ციტატას გეტყვით — „არ ვიცი, 9 წელი რატომ იყო ის ხალხი სათავეში, ვინც ამდენი ცუდი მოგვიტანა!“ თვითონ სად იყო ამ დროს?!

— მთელი პარტიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გაქვთ, თუ თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ნიკა მელია იმსახურებს?

— მთელი პოლიტიკური ძალის მიმართ ასეთი დამოკიდებულება მაქვს. მათ საქართველო გააუბედურეს და გააუპატიურეს. ამ პარტიას მხარს არასოდეს ვუჭერდი, მათ შორის არც 2003 წელს.

— რატომ, აკი, გიგა ბოკერია თქვენი მეგობარია და ერთად ისვენებდით?

— მერე რა? ჯერ ერთი, არ მომწონს რევოლუციურ ტალღაზე მოსული მთავრობა, მერე ქვეყნის დალაგება ძალიან რთულია და ახლა პირველად გამიჩნდა იმედი, რომ რაღაც მოწესრიგდება. ნაციონალებთან მეგობრობას რაც შეეხება — საერთოდ არც ერთს აღარ ვეუბნები გამარჯობას. არ მინდა ჩემი პირადი ურთიერთობები საზოგადოებამ შეაფასოს, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, როგორ მოვიქცე ჩემს ნაცნობებთან. ამ მეგობრებს შორის არიან ადამიანები, ვინც ძველი პოლიტიკური ძალის ქმედებებს, დარბევას ამართლებდა. ჩემთვის მიუღებელია, მერკანტილური გათვლით ადამიანობას უღალატო. რადგან ირინა ენუქიძე დაიღუპა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დედები აღარ ვართ და სანდრო გვირგვლიანის მკვლელობის ამბავი დავივიწყოთ. სამწუხაროდ, დღეს ამ გახმაურებული საქმეების გამოძიების შედეგს ვერ ვხედავ, რაც ხალხშიც დიდ აგრესიას იწვევს. სამართლიანობის აღდგენის პროცესმა იმდენად დაიგვიანა, უკვე ნოშიკო ნამორაძესაც ვამართლებ. ადრე, კანონში იყო ასეთი ფრაზა, „პოტენციური დამნაშავე“ და ვფიქრობ, ყველა გამწარებული ადამიანი დღეს პოტენციური დამნაშავეა. როცა მკვლელები ასე თავისუფლად დაბოგინებენ და თანამდებობრივადაც წინ მიდიან, მაშინ აღარ მაქვს ამ ხელისუფლების იმედი და პირდაპირ ვამბობ — დიახ, მე მათ სამაგიეროს გადავუხდი.

— როგორ, „ჩააბეტონებთ“?

— ისედაც ჩაბეტონებულები არ არიან?! სადღაც ხომ უნდა მივიდნენ, ქორწილი იქნება თუ პანაშვიდი. შეიძლება, სიტყვითა და ქცევით ხალხმა ეს არ გამოხატოს, მაგრამ თვალებში და სახის გამომეტყველებაზე ზიზღი რომ ეტყობათ, ამას ყველა ნაციონალი გრძნობს. ამიტომაც თაგვებივით დაძვრებიან.

— მოკლედ, ხმას რომ მელიას არ მისცემთ, გასაგებია. აბა, ვის დაუჭერთ მხარს, როგორც მერობის კანდიდატს?

— მხარს არც ნარმანიას დავუჭერ. მისი კარგი მინისტრობა საერთოდ ვერ დავინახე. ერთადერთი, რაც ამ პერიოდიდან დამამახსოვრდა, ის იყო, მილიონი წლის ტრავერტინები რომ მოთხარა. ბოლო ბოლო, ხმას იმიტომაც არ მივცემ, რომ თბილისელი არ არის. მას თბილისელად არ მივიჩნევ.

— ამომრჩეველთა რაღაც ნაწილის აღშფოთება მეც მსმენია ამ თემაზე — თბილისის მერს ნარმანიასა და მელიას შორის რატომ უნდა ვირჩევდეთო.

— ეგ მეც არ მესმის, მაგრამ ნარმანია ამ არჩევნებს, ალბათ, მოიგებს. როცა ვამბობ თბილისელი არაა-მეთქი, ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ თბილისელობასაც დამსახურება უნდა. გიზო ნიშნიანიძე საჩხერელი იყო, რეზო ლაღიძე იყო სოფელ ობჩადან, მაგრამ მათზე დიდი თბილისელი დღეს რომელია? თბილისელი ვარო, ნარმანია რომ ამბობს, რა გააკეთა ამ ქალაქისთვის? მისი აშენებული ინფრასტრუქტურა ვერ ვნახე. მეორე მხრივ, თუ ასეთი კარგი მინისტრი იყო და კარგი საქმეები დაიწყო, ბოლომდე მიეყვანა და მერე გადმოენაცვლა თბილისის მერიაში. თუმცა, სანამ ნაციონალებს მერიიდან ბოლომდე არ გადავირჩევთ, თბილისი სულ თავზე გვექნება დამხობილი! დიმიტრი ლორთქიფანიძე ცუდი კანდიდატურა არ არის, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა მურაზ მურვანიძე წარადგინა და ხმას აუცილებლად მას მივცემ. კაცმა სტადიონის „მალიარობიდან“ საფრანგეთის პიკასოს პრემიამდე გზა განვლო, დიდი აღიარება ხვდა წილად, მაგრამ განდიდების მანია არ დაწყებია. ზოგადად, ის ტყუილები, რაც ყველა ტელეარხიდან მოდის, მართლა ძალიან მაღიზიანებს, მაგრამ ქვეყანაში დღეს მილიონი კარგი რამ კეთდება, რაზეც ყველა დუმს. კაციშვილმა არ იცის, რომ 240 ქარხანა შენდება, 60 გადამამუშავებელი ქარხანა სხვადასხვა რაიონზე გადანაწილდება და ა.შ.

— ეს მედიაზე მეტად, „ოცნების“ პიარის პრობლემა არ არის?

— „ოცნებას“ პიარი საერთოდ არ ჰყავს — პრესსამსახურის წევრები „მკვდრები“ არიან. კონკრეტულად, ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან ნიჭიერი ადამიანია, მომწონს მისი გამოსვლები საზღვარგარეთ, სწრაფად რეაგირებს მოვლენებზე. დიდი ხანია ვიცნობ გიორგი მარგველაშვილსაც — ძალიან კარგი პრეზიდენტია. ცხადია, ყველას ვერ მოეწონება და იმ ადამიანებისაც მესმის, ვინც მარგველაშვილს ზედმეტად პასიურ ადამიანად მიიჩნევს. პირადად ძალიან კმაყოფილი ვარ — მყავს კულტურული, ინტელიგენტი პრეზიდენტი, რომელიც საკუთარ უფლებამოსილებას არ ამეტებს. ირაკლი ალასანიაც მომწონს, გაწონასწორებული და ზომიერია.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

26 მაისს პრეზიდენტი წვევამდელების ფიცს ჩაიბარებს, პრემიერი კი ჯარსა და საზოგადოებას მიმართავს

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ლაშა აბაშიძის განცხადებით, დამოუკიდებლობის დღეს ფიცის დადების ცერემონია დამოუკიდებლობის მოედანზე გაიმართება: **„26 მაისს, პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს. ქვეყნის მთავარსარდალი წვევამდელების ფიცის დადების ცერემონიალს დაესწრება. ასევე, ამ ცერემონიალის ფარგლებში იქნება ჩართული სამხედრო კომპონენტიც“.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს არ დაუკონკრეტებია, რა სახის სამხედრო კომპონენტი იქნება ჩართული ფიცის დადების ცერემონიალში.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განმარტებით კი: **„26 მაისს იგეგმება ღონისძიებები. სამთავრობო კომისია მუშაობს. ბუნებრივია, იქნება სამხედრო კომპონენტი. ფიცს მიიღებს უმაღლესი მთავარსარდალი – პრეზიდენტი. ასევე, ჯარსაც და საზოგადოებასაც პრემიერ-მინისტრი მიმართავს“.**

„პირველი“

კაზანტიპი, ანუ რა ელირება თბილისი-ანაკლია?!

გიორგი იაშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარსაა მომდგარი და წესით, პოლიტიკური ტემპერატურა დუღილის პროცესში უნდა იყოს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — გნებავთ წვიმიან ამინდებს დააბრალეთ, გნებავთ წელინადნახევრიან კოჰაბიტაციას, ქართულ პოლიტიკას დუღილის არაფერი ეტყობა. სწორედ ამიტომ ვაძლევთ თავს უფლებას და ერთი შეხედვით აპოლიტიკურ თემას მოგითხრობთ. ერთი შეხედვით იმიტომ, რომ კარგად მოგეხსენებათ, ქართველებს, ბოლოს ყველაფერი მაინც პოლიტიკამდე დაგვყავს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ბაკურიანში ე.წ. მოდების ჩვენება გაიმართა. ვერ გეტყვით, ვისი იდეა იყო და რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ბაკურიანი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამ ჩვენებაზე მოდელები უკრაინიდან და პოლონეთიდან ჩამოიყვანეს. ნაციონალური მოძრაობის ელიტა მაშინ სრული შემადგენლობით სწორედ იქ გაიკრიფა და ჟურნალისტებსაც ცნობისმოყვარეობამ გვძლია. იმის მიუხედავად, მოდასა თუ შოუბიზნესზე ერთი სტატიაც არ მქონდა დაწერილი, ბაკურიანში მეც გახლდით და სულო ცოდვილო, სტატიაზე მეტად სწორედ მოდელები მაინტერესებდა. იქ მოდის კრიტიკოსებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, ეცალა თუ არა ვინმეს კრიტიკისთვის — ასამდე სტუმარი ერთმანეთში ისე ირეოდა, ბაკურიანი ამქვეყნიურ სამოთხეს ჰგავდა, თუმცა ეს ყველაფერი სამ დღეს გაგრძელდა და მაშინ ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, როგორი ამქვეყნიური ჯოჯოხეთი გველოდა მომდევნო წლების განმავლობაში. ერთი ეგაა, მაშინდელმა ხელისუფლებამ უკრაინელ მოდელებს „დაუმუღამა“, იმათი ჩამოყვანის რა გითხრათ, მაგრამ უკრაინული ვოიაჟები გაახშირა და ცხელი გულის გასაგრილებლად ძლიერნი ამა ქვეყნისა ყველაზე ხშირად სწორედ ჩვენს მოძმე უკრაინას სტუმრობდნენ...

ეს ამბავი კი მაშინ გამახსენდა, როცა გავიგე, რომ 20-დან 30 აგვისტომდე, ანაკლიაში პოპულარული მუსიკალური ფესტივალი, „კაზანტიპი“ გაიმართება. მუსიკასა და ცეკვა-თამაშს რა სჯობს, მით უმეტეს, თუ გემღერება და გეცეკვება, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსთაველზე გამართული ტაშ-ფანდურის შემდეგ, ვერავინ დამაჯერებს, რომ ქართველებს ნებისმიერ დროს არ შეუძლიათ ცეკვა-თამაში. ჰოდა, თქმა არ უნდა, აგვისტოში რაც უნდა მოხდეს, ტაშ-ფანდურისთვის მაინც მოვიცლით და ანაკლიაში ჩამოსულ 16 ათას უკრაინელ ქალბატონს არ მოვაწყენთ. მოდით, თვალსა და გულს კიდევ ერთხელ რომ გაუხარდეს, ციფრს გავიმეორებ — 20-დან 30 აგვისტომდე ანაკლიაში 16 ათასი უკრაინელი ტურისტი ქალი ჩამოვა. მთლიანად კი ტურისტების რაოდენობა 30 ათასს გადააჭარბებსო, გვპირდება „კაზანტიპის“ ოფიციალური ვებ-გვერდი და ანაკლიასა და ახლო-მახლო მდებარე სასტუმროებში ნომრების დაჯავშნა ისეთი ტემპით მიმდინარეობს, შესაძლოა ამ სტატიას რომ წაიკითხავთ, ადგილიც აღარ იყოს.

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს. ჯერ ამ ფესტივალის სარგებლიანობა განვიხილოთ. თავისთავად, 30 ათასი ტურისტი ცუდი არ არის. ისინი გარკვეულ თანხას დახარჯავენ და მერე რა, თუ ამ ტურისტების ნახევარზე მეტს (ანუ 16 ათას ქალს), ორ იმდენს ქართველი მამაკაცები დაახარჯავენ, წესია ასეთი, სტუმართმოყვარეები ვართ და სად გინდა, ამ ფაქტს გაექცე. კარგია, რომ ეს ამბავი ინტერნეტითა და ტელევიზიებით გავრცელდება და მთელი მსოფლიო გაიგებს, არსებობს ქალაქი ანაკლია, მართალია ჯერ დაუვარცხნელი და დაულაგებელი, მაგრამ მაინც არსებობს და დიდი პერსპექტივაც აქვს. პრინციპში, 16 ათასი უკრაინელი მდედრი რომ ჩამოვა, მხოლოდ პერსპექტივა კი არა, უზარმაზარი გასაქანია და გაქანება კიდევ ჩვენ რომ ვიცით, ისეთი უნდა.

ახლა უარყოფითი მხარე. ეს ფესტივალი აქამდე ყირიმში ტარდებოდა. შესაბამისად, უკრაინელები საკუთარ ქვეყანაში უფრო ბევრნი იყვნენ და უფრო თამამადაც იქცეოდნენ. ახლა ყირიმი იმ დღეშია, რა დღეშიც ჩვენი ანაკლიიდან 10 კილომეტრში მდებარე ტერიტორია, ანუ რუსეთს აქვს ოკუპირებული და იმდენი ჯარისკაცი დგას, ფესტივალს კი არა, აღლუმს თუ ჩაატარებს კაცი. ანუ, გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, ეს 16 ათასი უკრაინელი ქალბატონი რუსეთმა გვიფეშქაშა და თან ისე, მადლობის თქმა „ტეხავს“.

მავანმა სოციალურ ქსელში ისიც დაწერა, რუსებს ბრაზილიის ოკუპაცია რომ მოეხდინა, ეგებ მსოფლიო ჩემპიონატიც საქართველოში გაემართათო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვა. ჯერ ერთი, ტრიბუნებზე ქართველები სამბას არ გიცეკვებენ და მეორეც, არ არის აუცილებელი, მსოფლიომ ნახოს, როგორ ვთამაშობთ ფეხბურთს, აქეთ ნატო-ში გაწევრიანება გვინდა და იქეთ ევროკავშირზე „ვჩალიჩობთ“.

ევროკავშირზე გამახსენდა, ჟოზე მანუელ ბაროზომ განაცხადა, რომ, თუ ეკონომიკური მდგომარეობა არ ამაღლდა და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ ამოისუნთქა, ევროკავშირი ზედმეტ ტვირთად და ბარგად არ აგვიკიდებს და თავისი მხრებით არ გვატარებს. მისმა სიტყვებმა კი ის გამახსენა, აჭარის მთავრობამ მიუსაფარ ბავშვთა გამასპინძლებისათვის ახალ წელს მხოლოდ 270 ლარი რომ გაიმეტა მაშინ, როცა ერთ-ერთი უცხოური დელეგაციისთვის გამართულ ვახშამში იმავე აჭარის მთავრობამ 18 ათას ლარზე მეტი გადაიხადა. ახლა არ მითხრათ, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო, რადგან ისევ დაუღალავად შეგახსენებთ, რომ 20-დან 30 აგვისტომდე ანაკლიაში 16 ათასი უკრაინელი ქალბატონი ჩამოდის და მეეჭვება, მათი შენდობა-დანდობის საკითხზე ვინმე ფიქრობდეს.

დასასრულ, თბილისი-ანაკლიის სამარშრუტო ხაზის მძღოლები ფიქრობენ, ბილეთის ფასი 20-დან 30 აგვისტომდე 37 ლარი გახადონ, თუ დეჟავუა, ბოლომდე დეჟავუ იყოს, მაგრამ... ამ უკრაინელების გამკვირვებია, თვეც არ გასულა, რუსეთმა დაიპყრო და საქართველოში თავის ფეხით მოდიან ქართველი კაცების პროვოცირებისათვის და... დაპყრობა როგორი უნდა, ახლა ნახავენ.

P.S. ფესტივალის ჩატარების დროისთვის თვითმმართველობის არჩევნებიც დასრულებული იქნება და მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატიც. გვერწმუნეთ, ფესტივალის სტუმრებისთვის სულ ერთი იქნება, ვისი დეპუტატი ვის საკრებულოში მოხვდება... 16 ათას უკრაინელს ეხუმრებით?!

„თავისუფლება დავკარგე!“

მე-3 გვერდიდან

— ისე, ალასანიას მეუღლესთან, ნათია ფანჯიკიძესთან რა გაკავშირებთ?

— ნათიასთან ვმეგობრობ, არაჩვეულებრივი გოგო და ძალიან კარგი ადამიანია. მაიასაც კარგად ვიცნობ, ჩემი ბიძაშვილის უახლოესი მეგობარია. მთელ ოჯახს ვიცნობ, ნათია ყველაზე გვიან გავიცანი. სხვათა შორის, მინისტრებიდან ჩემი ფავორიტი დავით სერგეენკოა. მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვხედავ, ადამიანმა ბევრი იმუშავა და საყოველთაო დაზღვევის პროგრამა სწრაფად გააკეთა. ახლა ამ პროგრამის გაუმჯობესებაზე მუშაობს. პრინციპში, განონასწორებული და არაისტერიკული ხელისუფლება რომ გვყავს, მომწონს.

— პარლამენტზეც იგივე შეფასებები გაქვთ?

— დეპუტატების დიდი ნაწილით უკმაყოფილო ვარ. ძალიან შეიცვალნენ ყოფილი ოპოზიციონერები. უცბად, თავიანთი დაპირებები დაავიწყდათ. დროს ათას სისულელეზე ხარჯავენ, როცა ქვეყანაში ამდენი რეალური პრობლემაა. თუნდაც ყველაზე მთავარი — სამართლიანობის აღდგენა. ადამიანურად ისიც მესმის, რომ ყველაფერი ერთდროულად ვერ მოესწრება. წინ მივდივართ — შიში და ტერორი აღარ არის, რაღაცები ნელ-ნელა წესრიგდება. თუმცა ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემა მინდა. არ მომწონს, ქართულ პოლიტიკაში დღეს მხოლოდ „ოცნება“ და მეორე ოპოზიციურ ძალადშერაცხული ნაციონალები რომ არიან, ამიტომ მინდა, პარლამენტში სხვა ოპოზიციური პარტიებიც შევიდნენ. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილის, ნინო ბურჯანაძის, კახა კუკავას პარტიები. ახალი, გაუსვრელი სახეები უნდა წამოვიდნენ პოლიტიკაში, პარლამენტშიც ეს ახალი სახეები შევიდნენ და მეტი არჩევანის საშუალებაც გვექნება.

— მაშინ რატომ ვერ ან არ გვთავაზობენ პარტიები ამ ახალ სახეებს?

— აი, იმ თემასთან მივედით, რაზეც პარლამენტს სასტიკად ვაკრიტიკებ. არ მომწონს, საინიციატივო ჯგუფებს ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატის წამოყენების უფლება რომ წაართვეს. ალბათ, ახალი ლიდერების წარმოჩენა არ სურთ. ნაციონალებსა და რესპუბლიკურ პარტიასაც ერთ ძალად მოვიაზრებ — საერთო ინიციატივები აქვთ და საკუთარი თავის გადასარჩენად ყველაფერზე მიდიან. ქალაქის არჩეული მერი სერიოზული ფიგურაა და ეს პოსტი ასე არ უნდა გაეპოლიტიკურებინათ. ვერც ერთ ქვეყანას ვერ დამისახელებს თინა ხიდაშელი, სადაც ხალხს საკუთარი კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს ჩამორთმეული, ამიტომ თამამად ვიტყვი — თინა ხიდაშელი არის მატყუარა. არ ვიცი, ეს რესპუბლიკებისთვის, ნაციონალებისთვის, ოცნებისთვის თუ ძველი პარტიების დასამაგრებლად გააკეთა, მაგრამ ფაქტია, მათ ეს სჭირდებოდათ.

— მერე გამპროტესტებელი არის ვინმე?

— 25 წელია ქუჩაში ვდგავარ და, რაც არ მომწონს, ყველაფერს ვაპროტესტებ. ასეა ჩემი ყველა მეგობარი, მეზობელი, დედაჩემის თაობა, მისი ამხანაგები, 70 წელს გადაცილებული ქალები. ისინი დღემდე არც ერთ აქციას არ ტოვებენ, ბიძინა ივანიშვილის აქციებსაც შეუერთდნენ. ახლა ყველანი გამოფიტულები ვართ. თუ დაგვჭირდება, ძალას ისევ მოვიკრებთ, მაგრამ ჯერჯერობით, ვფიქრობ, ახალ ხელისუფლებას მინიმუმ, 4 წელი, ერთი ვადის ბოლო მიყვანა უნდა ვაცალოთ.

— მანჩო, ასეთი სამეგობრო წრე გყავთ, ამდენი ინფორმაცია გაქვთ, არც პოპულარობას უჩივით — პოლიტიკაში მოსვლა არ გინდათ?

— არანაირი სურვილი არ მაქვს, ამ ეტაპზე.

— შეიძლება, სხვა ეტაპიც დადგეს?

— არა, არ მინდა. რა მინდა პოლიტიკაში?! ჩემზე ბევრად ჭკვიანი ადამიანები არიან ამ ქვეყანაში. ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ, 2 წიგნი რომ მაქვს წაკითხული, იმას ხომ არ ნიშნავს, ყველაფრის უფლება მაქვს? არ ვფიქრობ, რომ ქალაქის მერობის ან დეპუტატობის პრეტენზია უნდა მქონდეს. ეს ქვეყანა სავსეა ჭკვიანი ადამიანებით. ყველა ხამურიანი ვერ იქნება, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, შესაფერისი კანდიდატურები გადასარევად მოიძებნება. საერთოდ, მოწესრიგებული ამომრჩეველი ვარ, არჩევნებზე სულ დავდივარ, პოლიტიკურად აქტიური მოქალაქე ვარ, ჩემი ცხოვრების ასეთი წესიც მომწონს. მიმაჩნია, რომ პატრიოტი ვარ. 90-იანებში, როცა საქართველოს ძალიან უჭირდა, ამერიკაში ცხოვრება შემეძლო, საქართველოს მოქალაქეობა უნდა დამეთმო, მაგრამ ეს არ გავაკეთე.

— ახლა სად მუშაობთ, რით ხართ დაკავებული?

— სიმართლე გითხრათ, ახლა რაღაც ბიზნესთემებით ვარ დაკავებული.

— მედიაში დაბრუნება არ გინდათ?

— ძალიან მიყვარს პირველი არხი. ეს არის ადგილი, სადაც დედაჩემმა და მამაჩემმა ერთმანეთი გაიცნეს, სადაც გავიზარდე. არხის დღევანდელ მდგომარეობას წინა წლებისას ვერც შევადარებ, მაგრამ გასაკეთებელი და გამოსასწორებელი დღესაც ბევრია. ახლა სამეურნეო საბჭო უნდა ჩამოყალიბდეს, ახალი პროექტები და გადაცემები დაიგეგმოს, ვითარება დალაგდეს და მერე ვნახოთ. ეს ის ადგილია, სადაც სიამოვნებით წავიდოდი.

— ის აჟიოტაჟი, რაც თქვენს ირგვლივაა, მოგწონთ?

— ეკრანზე ჩემი ინიციატივით არ გამოვვარდნილვარ, ნიკა მელიამ და ნაციონალებმა დაიწყეს ჩვენი ლანძღვა ტელევიზიით. ცნობადობა, მით უმეტეს გადამეტებული, არ ვარგა. იცით, საზოგადოების მიმართ მეტი პასუხისმგებლობა გიჩნდება, ქუჩაში პატარა ბავშვები რომ გცნობენ, ისე უნდა მოიქცე, სამაგალითო იყო!

— თქვენი აზრით, სამაგალითო ხართ?

— ახლა უფრო ვცდილობ... სულ დაძაბული ვარ, საერთოდ ხმაურიანი ადამიანი ვარ, მიყვარს სიტყვით გამოსვლა, აქტიურობა და, როცა ამდენი უცნობი ადამიანი მაკვირდება, ვგრძნობ, სილაღე დავკარგე. ათასი თვალი მიყურებს თეატრში, კაფეში, ქუჩაში, დისკოთეკაზე, სად როგორ მოვიქცევი, რას ვიტყვი. მოკლედ, დაძაბულო ვარ. სულ ვფიქრობ, რამე ისეთი არ გავაკეთო, საზოგადოება ამით შეურაცხყოფილი დარჩეს. აბანოთუბანში, ერთ-ერთ კაფეში ვიჯექი, ჩემთან ბავშვი მოვიდა და ხელი ჩამომართვა — გიცნობთ და მიყვარხართო. ძალიან დავიძაბე, რადგან გვერდზე მაგიდიდან ბავშვი მიყურებდა. რაში უნდა მჭირდებოდეს ასეთი პოპულარობა?!

— მერე თქვენ ეს არ მოგწონთ?

— არა!

— მაშინ უნდა გაჩუმდეთ, რომ დაგივიწყონ.

— ვერ გავჩუმდები. უბრალოდ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ გადაირია ჩემზე სრულიად მასმედია. პოლიტიკოსობა არ მინდა, არც თანამდებობა მინდა, არც მთავრობას „ვეტენები“, რომ თავი დავამახსოვრო, გასათხოვარი არ ვარ, მსახიობი და მომღერალი არ ვარ, აბა, რაში უნდა მჭირდებოდეს მუდმივად უცნობი ადამიანების ყურადღების ცენტრში ყოფნა? ეს ძალიან მაღელვებს, რადგან თავისუფლება დავკარგე!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„მთავრობა ახალ-ახალ სიურპრიზს უნდა ელოდეს ჩვენგან!“

რას დაპირდა „ვერსიას“ და პოლიტიკური კორუფციის რა სქემა გაშიფრა ხათუნა გოგორიშვილმა

თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება. საარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება ორ ნაწილად იყოფა: სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვალიფიციური სუბიექტებისთვის გამოყოფილი თანხა და შემოწირულობები, რომელსაც ფიზიკური პირები ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას ურიცხავენ. როგორ და რა ფინანსური რესურსით ემზადებიან პარტიები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის? არის თუ არა წინასაარჩევნო პოლიტიკური კორუფციის საფრთხე ქვეყანაში? „ვერსიის“ კითხვებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი ხათუნა გოგორიშვილი პასუხობს.

— ქალბატონო ხათუნა, რა დაუჯდება საქართველოს მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები?

— სახელმწიფო ბიუჯეტის საარჩევნო ღონისძიებების ხარჯის ზუსტი ანგარიში მოგვიანებით გვექნება. ორი საკითხი გავმიჯნოთ — სამართლებრივი ნაწილი, რასაც კანონი ავალდებულებს პარტიას და რეალური აქტივობები. ამ ეტაპზე, საარჩევნო კამპანიისთვის ჩვენი პარტიის დაფინანსების 99.9% სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხაა, 0.1%-ია შემოწირულობები, ისიც მხოლოდ პარტიის აქტივისტების მიერ. მიზეზი ისაა, რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად იმისა, რა თანხა შემოგვწირა, სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. დაახლოებით, ერთი კვირის წინ დასრულდა სასამართლო პროცესი, რომელიც 2012 წელს ნაციონალური მოძრაობის შემომწირველებს ეხებოდა. ხელისუფლება არც ერთი სხვა პარტიის შემომწირველების საკითხით არ დაინტერესებულა, მხოლოდ ჩვენ გვებრძვიან. ამ ფონზე, ნებისმიერი ადამიანი, სურვილისა და შესაძლებლობის მიუხედავად, თუ პარტიის აქტიური წევრი არაა და ჩემსავით თავზეხელაღებული, თავს აარიდებს, ჩვენ პარტიას ფული შემოწიროს. არადა, პროცედურული რუტინის თვალსაზრისით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე რთულია, რადგან მთლიანობაში 3 200 კანდიდატს ვირჩევთ. საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ 150 კანდიდატია, საპრეზიდენტოზე — ერთი. ჩვენ ყველგან გვყავს კანდიდატები, ამდენ კანდიდატს რომ წარადგენ, ცხადია, განსხვავებული ფინანსური რესურსი გჭირდება.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა ჩვენი პარტიის შემომწირველების სია აიღეს და სათითაოდ ყველა დაკითხეს, რატომ გაგიჩნდათ ნაციონალური მოძრაობის დაფინანსების სურვილი, საიდან გაიგეთ პარტიის ოფისის მისამართი და საბანკო ანგარიშიო. მეტიც, ერთ-ერთი დეპუტატის ძმას ისიც კი ჰკითხეს, რატომ შეწირა თანხა ოჯახის წევრის პარტიას. ამ ფონზე, რომელი ჭკუათმყოფელი შეიქმნის პრობლემას, მით უმეტეს, თუ ბიზნესი აქვს? რა თქმა უნდა, წავა და სახელისუფლებო პარტიას შეწირავს თანხას. ეს, გარკვეულწილად, ბიზნესმენების მხრიდან ინდულგენციის წინასწარ მიღებაა, რადგან მომავალში მათ ბიზნესს პრობლემა არ შეექმნას.

— უკაცრავად, მაგრამ ეს ხომ წინასაარჩევნო ანუ პოლიტიკური კორუფციაა?

— თუ რომელიმე კომპანიის ხელმძღვანელმა არ დაადასტურა, რომ საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს და უთხრეს, თუ „ქართულ ოცნებას“ თანხას არ შეწირავ, პრობლემები შეგექმნებაო, ამას სამართლებრივად, იურიდიულ ენაზე, წინასაარჩევნო კორუფციას ვერ ვუწოდებთ. არადა, მორალურად, ეს ნამდვილად კორუფციაა.

— ფიზიკური პირები სხვა ოპოზიციური პარტიების დაფინანსებასაც ერიდებიან?

— ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მხოლოდ ჩვენი პარტიის შემომწირველებით დაინტერესდა. კანონი გვავალდებულებს, შემომწირველების სია გამოვაქვეყნოთ, მაგრამ საკითხავია, საიდან აქვს კონკრეტულ ადამიანს ეს თანხა? მე ვიღებ დეპუტატის ანაზღაურებას და ეს იმხელა თანხა არ არის, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების ან სხვადასხვა მინისტრისა თუ მათი მოადგილეების ხელფასი. პარალელურად, ორ უნივერსიტეტში ვკითხულობ ლექციებს და სხვა შემოსავალიც მაქვს. სხვათა შორის, პარლამენტი ერთადერთი უწყებაა, სადაც დეპუტატებს მოკრძალებული ანაზღაურება აქვთ და ხელისუფლება მის გაზრდას არ აპირებს. ორი მიზეზით: ამას ოპოზიციონერები არ დავუშვებთ და მეორე — უმრავლესობის წევრების გარდა, პარლამენტში 51 ნაციონალია. ავტომატურად, ჩვენი ხელფასების ზრდას უმცირესობა არ დაუშვებს... მოკლედ, ჩემი ანაზღაურებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე, მაქსიმუმი თანხა, რაც ჩემს პარტიას შევწირე, 4 400 ლარი იყო. სხვა პარტიების შემომწირველების სიაში ნახავთ ადამიანებს, რომლებიც ბოლო 7-8 წელია არსად მუშაობენ, არც მათი ოჯახის წევრები არიან დაკავებულები, ქონება არ გაუყიდიათ, მაგრამ მათ და მათი ოჯახის წევრებს აქვთ საშუალება, საკუთარ პარტიას 60 000 ლარი შესწირონ. 60 000 შემომწირველი ფიზიკური პირის ზედა ზღვარია. კანონი არ ირღვევა, მაგრამ არავინ, მათ შორის არც აუდიტის სახელმწიფო სამსახური ინტერესდება, საიდან აქვთ ამ ადამიანებს ეს შემოსავალი. საიდან მიიღეს ამხელა თანხა? რომელიმე სხვა ქვეყნიდან ხომ არ გამოუგზავნეს და მიუტანეს ჩემოდნით? პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის მიღებისას, ჩვენი მთავარი პრინციპი იყო, საქართველო მაქსიმალურად გაგვეთავისუფლებინა პოლიტიკური კორუფციის შესაძლო შემთხვევებისგან. როგორღაც გზები უნდა ჩაგვეკეტა, რათა საარჩევნო პერიოდში, სხვა ქვეყნიდან ფული არ შემოსულიყო. საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი რუსეთია და კავკასიონი რუსეთიდან ფულის შემოდინებას ვერ აღუდგება. ეს სერიოზული პრობლემაა, რაც სამწუხაროდ, ხელისუფლების პრიორიტეტი არაა და საერთოდ არ აინტერესებს, რა გზებით ფინანსდება სხვა პარტიები. ხელისუფლება ძირითად დროს ჩვენთან ბრძოლაში ატარებს, ჩვენს აქტივისტებს დასდევს... ახლაც, ამ წუთებში, ჩვენი პარტიის მაჟორიტარ წევრებზე ზეწოლა ხორციელდება, რათა კანდიდატურა მოხსნან და კენჭი არ იყაროს.

— რუსეთი ახსენეთ, დიდია საშიშროება, წინასაარჩევნო რესურსის სახით, პარტიებმა რუსული ფული მიიღონ?

— რუსული ფული ქართულ პოლიტიკაშიც არის და საქართველოს ყოველდღიურობაშიც. ბევრჯერ მსმენია, რუსეთიდან საქართველოში თანხას მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებს ურიცხავს ის ხალხი, რომელიც იქ მუშაობს და მიღებული შემოსავლით ოჯახს არჩენს. რუსეთიდან სხვა დაფინანსებაც შემოდის, რაც კონკრეტულ აქტივობას ეხება. ვერავინ დამარწმუნებს, რომ თბილისში გამართულ აქციებს, სადაც რუსული დროშები ფრიალებს, საკუთარი ჯიბიდან აფინანსებს იქ მყოფი 30 ადამიანი. ქვეყანაში, სადაც 1989 წლის 9 აპრილს რუსულ ტანკს ჯოხს ურტყამდნენ, როგორ შეიძლება, რუსული დროშები აფრიალონ, თან ახალგაზრდებმა, რაც ყველაზე მეტად მტკენს გულს! პარტიები, რომლებიც რუსული ფულით საზრდოობს, ამ შესაძლებლობას ცხადია, ახლაც გამოიყენებენ. ვინც რუსულ ფულზე უარს არ ამბობს, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს და მეორე — რუსეთს საქართველოში ნებისმიერი სახის არეულობა აწყობს, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს. პარალელურად, პარტიები, რომლებიც რუსეთიდან ფინანსდება, რუსული სპეცსამსახურების წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი. რუსული „კაგებე“ ის კანტორა არაა, ერთჯერადად გააკეთოს რამე. ეს ადამიანები ყოველთვის მათ მარწუხებში იყვნენ. სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე უარი რომ თქვან, პრობლემები შეექმნებათ.

— ბიზნესმენებს არ შეუძლიათ, ფული პარტიისთვის ახლობელ ფიზიკურ პირს გადაარიცხინონ?

— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ადამიანმა, რომელიც ქართუ ბანკში მუშაობდა, 300-ლარიანი ხელფასი ჰქონდა და პრემია ან ბონუსი არასოდეს აუღია, უცებ 20 000 ლარი პრემია მიიღო და მეორე დღესვე 18 000 ლარი „ქართული ოცნების“ ანგარიშზე შეიტანა, ხელზე კი 2000 ლარი დარჩა. აუდიტის სახელმწიფო სამსახურის დასკვნით, ეს კორუფციული გარიგება იყო. მახსოვს, „ოცნებისა“ და ზოგი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ამას პოლიტიკური ზეწოლა და პარტიისთვის ხელშეშლა უწოდეს. რამდენიმე პრობლემა იკვეთება — საზოგადოება საკანონმდებლო ნორმებთან დაკავშირებით, ინფორმირებული არ არის ან შესაძლოა, ინფორმირებულია, მაგრამ ამას მაინც აკეთებს. იცით, ამას რა მოჰყვება? არჩევნების შემდეგ, ეს ადამიანები მოითხოვენ კონკრეტულ შეღავათს, თანამდებობას... მერე ნურავის გაუკვირდება, სხვადასხვა უწყებაში ხელისუფლების წარმომადგენლების ბიძაშვილ-მამიდაშვილები ან ახლობლები რომ ინიშნებიან.

— თანამდებობის პირთა არაადეკვატურად მაღალი ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია თქვენ და ირმა ნადირაშვილმა მოიპოვეთ ანუ სწორედ ასეთი შემომწირველები იღებენ მაღალ ხელფასსა თუ პრემიას სხვადასხვა სამინისტროში?

— აპრილის დასაწყისში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისგან ოფიციალურად გამოვითხოვე ინფორმაცია, კონკრეტული თანამშრომლების ანაზღაურების შესახებ. მინისტრი ვალდებული იყო, პასუხი 15 დღეში მოეწერა. ვადის ამოწურვის შემდეგ, სამინისტროში უცნაური პასუხი გაგვცეს — საფინანსო სამსახურის თანამშრომელი, რომელსაც ოფიციალური პასუხი უნდა მოემზადებინა, მივლინებაშიაო. არადა ვადის გადაცილება კანონის დარღვევაა. ისიც წარმოუდგენელია, ერთი ადამიანის მივლინების გამო, სამინისტროში საჯარო ინფორმაციას ვერ აგროვებდნენ, მაგრამ მაინც დაველოდეთ. 15 დღის ნაცვლად, ერთი თვე ვცდილობდით პასუხის მიღებას. ამის შესახებ ვაცნობე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა წესების კომიტეტის თავმჯდომარეს, გიორგი კახიანს, მაგრამ, რადგან არც მან მოახდინა რეაგირება, ირმა ნადირაშვილმა ბრიფინგი ჩაატარა. გვეგონა, ამის შემდეგ მაინც გამოგვეხმაურებოდნენ სამინისტროდან, მაგრამ ასე არ მოხდა. მხოლოდ მეორე ბრიფინგის შემდეგ, სადაც კონკრეტულად ვთქვით, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის 39 000-ლარიანი პრემია, 22 წლის განმავლობაში მიღებულ პენსიას უტოლდება, პრეზიდენტმა კი 6 თვე უნდა იმუშაოს, რათა იმ რაოდენობის ხელფასი მიიღოს, რასაც ერთ თვეში, პრემიის სახით, რიგითი თანამშრომელი დარბაისელი იღებს, მთავრობის წევრებმა დაიწყეს ამ ფაქტის დაგმობა. იცით, რამდენჯერ მოვისმინე ასეთი დაგმობა ერთი წლის განმავლობაში? აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ავთანდილ ბერიძის მანქანის ამბავს გაგახსენებთ. მთავრობის წევრებმა განაცხადეს, რომ ეს საშინელება ჩვენგან შეიტყვეს. თქვეს, შევიმუშავებთ წესებს, რომელიც მანქანების შესყიდვასა და ფასის ზედა ზღვარს განსაზღვრავსო. დეკემბრიდან მაისამდე ერთი რეგულაცია ვერ მიიღეს? პრემიებისა და ხელფასების გამოც აღშფოთდნენ, მაგრამ ფაქტია, ჩვენ თუ არ მივაწოდეთ ინფორმაცია, თავად ვერ ხედავენ. ზუგდიდში, ხალხთან შეხვედრა, ძირითადად, ნაციონალური მოძრაობის ლანძღვა-გინებას მიუძღვნეს. ყველა ინფორმაცია, რაც სხვადასხვა უწყების თანამშრომელთა, მინისტრებისა და მათი მოადგილეების ხელფასს, პრემიასა თუ სახელფასო დანამატს ეხება, ჩვენი გახმაურებულია. ბიძინა ივანიშვილი ამბობს, ცუდი მინისტრები არ გვყავს, კარგი და ძალიან კარგი მინისტრები არიანო. მისი ნათქვამის პერიფრაზი რომ გავაკეთო, საქართველოში ძალიან კარგპრემიებიანი და კარგპრემიებიანი სამინისტროები გვაქვს. ცუდპრემიებიანი სამინისტრო არ არსებობს. პრობლემაა ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების შესახებ, რადგან ალტერნატიული საგამოძიებო სამსახური თუ არ შეიქმნა, სხვაგვარად სსიპ-ებიდან ინფორმაციას ვერავინ მოიპოვებს. ვერ ნახავთ სსიპ-ების თანამშრომელთა ვინაობას, რათა გაარკვიოთ, ვინ ვისი ბიძაშვილი ან მამიდაშვილია. ძალიან ყვირის, დას ან ძმას მინისტრის მოადგილედ რომ დანიშნავ, მაგრამ უკეთესია, თუ რომელიმე სსიპ-ში, მრჩევლად დანიშნავ (ოღონდ, არავინ იცის, რის ან ვის მრჩევლად) და 8 000 ლარსაც დაუნიშნავ ხელფასს. ამ ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია, მაგრამ პირობას გაძლევთ, მაინც მოვიპოვებთ და ამ მიმართულებით, მთავრობა ახალ-ახალ სიურპრიზს ელოდოს ჩვენგან.

ვერსიანიუსი

„სასმელი წყალი უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის!“

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ინფორმაციით, წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით გავრცელებულია შეგნებული და შესაძლოა, ორგანიზებული დეზინფორმაცია, რომელსაც არანაირი საფუძველი არ გააჩნია.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წარმომადგენლები, სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თბილისის მოსახლეობისთვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი სრულად შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ეს ნიშნავს, რომ დედაქალაქის ნებისმიერ უბანში, თბილისელებისთვის მიწოდებული სასმელი წყალი ერთნაირად ხარისხიანია: **„უცნობი პირებისგან შემდგარი ჯგუფი რეკავს საინფორმაციო სააგენტოებში, ტელეკომპანიებში, ცალკეულ მოქალაქეებთან და აცხადებს, თითქოს ონკანის წყალი საშიშია სასმელად. ეს არის ისეთივე და შესაძლოა, უფრო დიდი დანაშაული, როგორიც უკვე არაერთხელ გავრცელდა მაგალითად, სხვადასხვა დაწესებულებებში ასაფეთქებელი ნივთიერებების შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით. კომპანია აპირებს, მიმართოს სამართალდამცავებს, რათა დადგინდეს დეზინფორმაციის წყარო. ჩვენი აზრით, ის, რაც ხდება, დანაშაულია და ამით ზარალდება არა მხოლოდ კომპანიის ავტორიტეტი, არამედ შეცდომაში შეგნებულად შეყვანილი მოსახლეობა. ასევე, ვაპირებთ მოვითხოვოთ სანქციების გამკაცრება იმ პირების მიმართ, ვინც მსგავს დეზინფორმაციას ავრცელებს, რადგან ეს არ არის პირველი შემთხვევა“.**

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წარმომადგენლების მტკიცებით, კომპანიას გააჩნია ISO-ს სტანდარტებით აკრედიტებული და საუკეთესო აპარატურით აღჭურვილი ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ამოწმებს წყლის ხარისხს: **„მოგმართავთ, არ აყვეთ პანიკას და კიდევ ერთხელ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ სასმელი წყალი სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის“**.

„პირველი“

კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების კვორუმი მცირდება

კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების 3/4-იანი კვორუმი შესაძლოა, 2/3-მდე შემცირდეს. კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურებზე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში შექმნილი სპეციალური ჯგუფი მუშაობს.

ჯგუფის ხელმძღვანელის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის პაატა ცნობილაძის განმარტებით, ამ მიმართულებით საჭიროა ლიბერალური მოდელის ამოქმედება: **„ჩვენ უნდა წავიდეთ კონსტიტუციის სტაბილიზაციის გზით, თუმცა ისე არა, რომ დინამიური ცხოვრების პირობებში შეუძლებელი იყოს კონსტიტუციაში პროგრესული ცვლილებების ასახვა. ალბათ, ცოტა ლიბერალურს გავხდით კონსტიტუციის გადასინჯვის წესს. როგორც ცვლილებების ხშირი შეტანა არ ვარგა კონსტიტუციაში, ასევე არ ვარგა ცვლილებებისთვის კარის დაკეტვა. ცხოვრება იმგვარად ვითარდება და გარკვეული საკითხების გააზრება ისე ახლებურად ხდება, რომ მათი კონსტიტუციაში არასახვა არ შეიძლება. ალბათ საკონსტიტუციო კვორუმი შემცირდება და 3/4-ის ნაცვლად 2/3 იქნება. ფაქტობრივად, 3/4-იანი კვორუმი ნიშნავს, თითქმის შეუძლებელი იყოს ცვლილებები“.**

მისივე თქმით, საჭიროა, დაიხვეწოს კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების წესი. ამ მიმართულებით განიხილება რამდენიმე ვარიანტი, თუმცა, ცნობილაძე ამ ვარიანტების დაკონკრეტებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს: **„უნდა დაიხვეწოს საკონსტიტუციო კანონპროექტების ინიცირების პროცედურა. მათი განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების წესი. ეს იმგვარად უნდა დაიხვეწოს, რომ დამოკიდებული არ იყოს ვიღაცის სურვილზე. იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტი თუ რაღაც პარტიული ჯგუფი. გამოკვეთილია რამდენიმე ვარიანტი. ამ ეტაპზე, დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, რადგან საბოლოოდ არ შევთანხმებულვართ“.**

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედებული ახალი საკონსტიტუციო ნორმების ფარგლებში გართულდა კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების მექანიზმები. კერძოდ, საკონსტიტუციო პროექტის დასამტკიცებლად პარლამენტს ხმების 3/4 სჭირდება. ამასთან, კონსტიტუციური პროექტის განხილვისთვის საჭიროა ორი სასესიო პერიოდი, არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ძარცვის ფაქტი გახსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მძიმე დანაშაულებისთვის ნასამართლევი ზაზა კ. და 1968 წელს დაბადებული გოდერძი ლ. ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა 11 მარტს სოფელ ახალ ხიბულაში მცხოვრებ, 1936 წელს დაბადებულ აკაკი ა-ს თავი ლტოლვილთა კომიტეტის თანამშრომლებად წარუდგინეს და მის სახლში მოტყუებით შეაღწიეს. დაკავებულებმა აკაკი ა-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ძალადობის მუქარით გასტაცეს ფული, ოქროს ნივთი, ერთლულიანი სანადირო თოფი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა გოდერძი ლ. და ზაზა კ. ხობში დააკავეს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

„არ არის საჭირო, პოლიტიკაში მუდმივად ამ შემადგენლობით ვიყოთ“

რატომ გადაწყვიტა საბურთალოელების ღობისტობა და როდის ელის კოალიციის დაშლას დავით ზურაბიშვილი

ირუსუდან შელია
557-100-768

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის აქტიურად ემზადება. საბურთალოს რაიონში „ქართული ოცნების“ მანდატით კენჭს იყრის და გამარჯვების შემთხვევაში, ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პრობლემების ეფექტურად მოგვარებას გეგმავს, თუმცა აქტიური პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს. გუნდის მიმართ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმასაც არ ერიდება და კოალიციის ლოგიკურ დაშლაზეც ღიად საუბრობს. „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს რესპუბლიკური პარტიის წევრი დავით ზურაბიშვილი აფასებს.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რაც უფრო მცირე დრო რჩება, ნათელი ხდება, რომ სახელისუფლო კოალიციას რეალურ კონკურენციას ვერავინ უწევს. თანაც დღეს ხელისუფლების რეალურ ოპოზიციაში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები კი კოალიციის ოპონენტები არ არიან. პირიქით, მათ ამ გაერთიანებაში ყოფნის სურვილი აქვთ. მაგალითად, უნდათ რესპუბლიკელების ან თავისუფალი დემოკრატების ადგილი დაიკავონ. მათგან ხშირად გვესმის, ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ირგვლივ ცუდი პარტიები შემოიკრიბესო... ამიტომაც ვამბობ, ნაციონალური მოძრაობა კოალიციის რეალური ოპოზიციაა, თუმცა საზოგადოების განწყობაზე გავლენას ვერ ახდენს.

— ოპოზიციურ ფლანგზე, ნაციონალური მოძრაობის გარდა, არასაპარლამენტო ოპოზიციაც აქტიურდება. ლევან ვასაძეც პარლამენტის დაშლით იმუქრება.

— ამბიციური განცხადებებისმიღმა მათი პოლიტიკური გავლენა ნულს უტოლდება და ამას, როგორც შიდაპარტიული, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები მოწმობს მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში „ქართული ოცნებაზე“ კრიტიკული აზრი მატულობს, რაც აბსოლუტურად ბუნებრივია. ამომრჩეველი იმედს ჯერ კიდევ კოალიციაზე ამყარებს. ზოგადად, რთულია, კოალიციის იდეოლოგიური კონკურენტი იყო, რადგან მასში ყველა ტიპის პოლიტიკური იდეოლოგია ერთიანდება — ლიბერალი თუ გინდა, აგერ, ბატონო, ძმები ბერძენიშვილები გვყავს, კონსერვატორული შეხედულებები გაქვს? — ზვიად ძიძიგურიც ამ გაერთიანებაშია.

— არ ფიქრობთ, რომ კოალიციის პოლიტიკური სიჭრელე გაერთიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა?

— ეს გარკვეული პრობლემა მართლაცაა, მაგრამ კოალიციის ასეთი შემადგენლობა კონკრეტული მდგომარეობის შედეგია — ნორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში მსგავსი გაერთიანება არ შეიქმნებოდა. მართალია, ნაციონალურმა მოძრაობამ ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება ვერ „გაქაჩა“, მაგრამ შინაარსით ასეთები იყვნენ — ნაციონალების გარდა, მათთვის ამომრჩეველი ადამიანად არ ითვლებოდა. დანარჩენები უნდა წაეშალათ, რაც ბუნებრივია, ვერ მოახერხეს. სწორედ ამიტომ გაერთიანდა ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ ერი და ბერი.

— თუმცა კოალიციაში ახლა შემდეგი აზრი იკვეთება — თუ „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებ, ნაციონალი ხარ.

— შესაძლოა, მაგრამ ბოლომდე ასეც არ არის. ეს იმის შედეგია, რომ პოლიტიკაში კვლავ პოლარული ვითარებაა. კოალიციის რეალური ოპოზიცია არ არსებობს, რადგან მასში ყველა იდეოლოგიის პარტიაა გაერთიანებული, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს ერთობა მარადიული ვერ იქნება და არცაა საჭირო, პოლიტიკაში მუდმივად ამ შემადგენლობით ვიყოთ.

— ეს პროცესი ლოგიკურად თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ უნდა დაიწყოს?

— ამას დრო მოიტანს. ჯერჯერობით, გარდამავალ ეტაპზე ვართ და კოალიციის დასაშლელად შესაბამისი რეალობა არ არსებობს. საბოლოოდ, ქვეყანა უნდა მივიდეს ისეთ მმართველობამდე, როგორიც დემოკრატიულ სახელმწიფოებშია. დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკოსებისთვის ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაში ყოფნა ბუნებრივი მდგომარეობაა — ოპოზიციაში გადასვლა ტრაგედია არ უნდა იყოს, ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ კი არავინ უნდა ჩათვალოს, რომ ფუფუნებაში ყოფნა მარადიულად გარანტირებული აქვს. პოლიტიკური განვითარების ამ დონეს ბალტიის ქვეყნებმა უკვე მიაღწიეს. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ეს რთულია, რაც კოჰაბიტაციის პერიოდმაც ნათლად დაგვანახა.

— „ქართულ ოცნებაში“ არ არიან პარტიები, რომლებიც კოალიციის დაშლის შემდეგ პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებიან?

— ვინ გაქრება და ვინ დარჩება, ხალხი გადაწყვეტს. მახსოვს, ერთ დროს ყველაზე რეიტინგულ პარტიად ეროვნულ-დემოკრატები ითვლებოდნენ, ირინა სარიშვილი და ნოდარ ნათაძე კი — გავლენიან პოლიტიკოსებად. დღეს ხარ, ხვალ არა. რამდენი შეძლებს, ვითარებას მხარი აუბას, რთული სათქმელია. როცა შალვა ნათელაშვილმა პარტია შექმნა, არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვა, ამიტომ მთავარია, სწორად მიხვდე, როგორ შეინარჩუნო აქტუალობა. პოლიტიკა მარათონს ჰგავს — მუდმივად უნდა ირბინო.

— ეს თქვენ კოალიციაში ბევრს ესმის? წელიწადნახევარია მინისტრებისა და პარლამენტის წევრების ხელფასები თუ პრემიები საზოგადოებაში აქტუალობას არ კარგავს.

— პრემიალური სისტემა ის მემკვიდრეობაა, რომელიც აუცილებლად შესაცვლელია. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ეს სისტემა მოწესრიგდება — საჯარო სამსახურში ხელფასების გაცემა მკაცრად რეგლამენტირებული უნდა იყოს. ეს სისტემა ნაციონალურმა მოძრაობამ გადმოგვცა.

— არც ოპოზიციური პარტიებისთვის ნაწილდება თანაბრად საბიუჯეტო თანხები.

— შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ არჩევნები არასწორად ტარდება, რაც ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ საუბარი, თითქოს ნაციონალურ მოძრაობას მეორე ადგილის დამკვიდრებაში ხელოვნურად ვეხმარებით, აბსურდია. შესაძლოა, პროკურატურის მიმართ გაუჩნდეს ვიღაცას პრეტენზია, რატომ არ იჭერს დამნაშავეებსო, მაგრამ საქმეების ძიება გრძელდება. დღემდე ვფიქრობ, ვისაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას ქონება და ბიზნესი წაართვეს, უნდა დავუბრუნოთ. სახელმწიფომ ამის შესახებ საკუთარი პოზიცია მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს. მესმის, ერთბაშად ყველაფერი ვერ მოხერხდება, მაგრამ არის საქმეები, სადაც ფული საჭირო საერთოდ არაა. სხვათა შორის, ერთმა პიროვნებამ, რომელიც სააკაშვილის მთავრობას ცხრა წელი ებრძოდა, თენგიზ კიტოვანის რუსთაველზე გამოჩენის შემდეგ განაცხადა — რაღაც პლუსი ნაციონალურ მოძრაობასაც ჰქონდაო.

— ამ მოსაზრებას თქვენც ეთანხმებით?

— თენგიზ კიტოვანმა პარლამენტი ერთხელ უკვე დაშალა, მაგრამ დღეს მისი მუქარა არასერიოზულია. პირიქით, სადაც გამოჩნდება, პროცესი კრახისთვისაა განწირული. 30 ათასი ადამიანის ცხიხეში ყოფნა, ბუნებრივია, იმის გარანტიაა, რომ ქვეყანაში კრიმინალი აღარ შეგაწუხებს, მაგრამ მეორე მხრივ, მსგავსი დამოკიდებულება სასტიკ რეჟიმს აყალიბებს. ბევრი ძველ ვითარებას რომ შენატრის, გაიხსენოს, ეს ყველაფერი რის ხარჯზე კეთდებოდა — უდანაშაულო ადამიანები ციხეში იხოცებოდნენ, საზოგადოება კი შეშინებული იყო. საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე ვართ — კრიმინალსაც უნდა ვებრძოლოთ და ციხეშიც უდანაშაულოები არ გავუშვათ. იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში საზოგადოება მიხვდება, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება საქართველოში „პედერასტების“ შემოსევას არ გამოიწვევს. ჰომოსექსუალები საქართველოში ყოველთვის იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან, მაგრამ მათი ცემა და სამსახურიდან გაყრა დაუშვებელია. ამას ფილოსოფიური ახსნა არ სჭირდება.

— ამ ფონზე, კიდევ ერთი მუქარა სასულიერო პირებისგან დაიმსახურეთ. არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ ვითარებაზე ნელ-ნელა კონტროლს კარგავს?

— როცა პატრიარქის ავტორიტეტი უზარმაზარია, პოლიტიკური ფაქტორი გარკვეულწილად ჩნდება, მაგრამ გადაჭარბებულია საუბარი, ვისაც ეკლესია მხარს დაუჭერს, არჩევნებსაც ის მოიგებსო. 2012 წლის ოქტომბერი გამონაკლისი იყო. მაშინ ეკლესიაში მხარდამჭერები ნაციონალურ მოძრაობასაც ჰყავდა, მაგრამ „ქართული ოცნების“ გამარჯვება სამღვდელოების დამსახურება არ ყოფილა. მაშინ ქურთებიც კი არჩევნებზე მოვიდნენ, რომლებიც, ზოგადად, მსგავს აქტივობას არ იჩენენ ხოლმე. ეკლესიის გავლენის განსაზღვრა პროცენტულადაც შემიძლია: ქვეყანაში საზოგადოების 15% აქტიური მრევლის ნაწილია. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მღვდლებს ეკითხებიან — ხვალ რა ჩავიცვათო. დანარჩენი ნაწილი თავს ქრისტიანად აღიარებს, ეკლესიაში მხოლოდ დღესასწაულებზე დადის, მაგრამ ეკლესიურ ცხოვრებას არ ეწევა. მათი ძირითადი მოთხოვნაა, ეკლესიას არ დავუპირისპირდეთ, თუმცა პოლიტიკური პარტიები ყველაფერში მღვდლებს უნდა უჯერებდნენო, არ ამბობენ. საზოგადოებაში ათეისტებიც არიან. კონკრეტულად ჩვენ პარტიაში აქტიური მრევლიც ერთიანდება და ათეისტიც. ვფიქრობ, ეკლესია ყოველდღიურ ცხოვრებაზე სერიოზულ გავლენას არ ახდენს. ეკლესიის გავლენა პატრიარქის რეიტინგზე გაცილებით ნაკლებია.

— რაც შეეხება საბურთალოს რაიონში თქვენ კანდიდატურას, გამარჯვების რა შანსი გაქვთ, საკრებულოში შესვლით, შედარებით აქტიურ პოლიტიკაზე უარს ამბობთ?

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არსით სხვა არჩევნებისგან განსხვავდება. ახლა საარჩევნო კანდიდატებს არ გვევალება საუბარი, რა ურთიერთობა უნდა დავამყაროთ საფრანგეთთან... მიუხედავად იმისა, რომ აქტიური პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებ, ამომრჩევლებს საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში მაქსიმალურად დავეხმარები. პრობლემების გადასაჭრელად შევაწუხებ მერიასა და ყველა კომპეტენტურ ორგანოს, სადაც საბურთალოელების ლობისტი ვიქნები.

„სმარტში“ მიკრობიოლოგიური ლაბორატორია დამონტაჟდა

პირველად საქართველოში, სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ პროდუქციის ხარისხს საკუთარ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში გააკონტროლებს

რუსთაველზე, ყოფილი ფოსტის შენობაში მდებარე „სმარტის“ საამქროები ჟურნალისტებმა უკვე რამდენჯერმე მოვინახულეთ და ყოველ ჯერზე, მისვლის მიზეზი სუპერმარკეტების ქსელში დაგეგმილი კონკრეტული სიახლე იყო. ამჯერად მედიატური მაღალტექნოლოგიური მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის დამონტაჟების გამო ჩატარდა — „სმარტი“ საქართველოში არსებულ კვების ობიექტებსა თუ სუპერმარკეტებს შორის პირველია, ვისაც ასეთი ლაბორატორია აქვს.

ერთადერთი, რაც „სმარტში“ არასოდეს იცვლება, პროდუქციის ფართო არჩევანი და უმაღლესი ხარისხია. ეს უკანასკნელი კი, როგორც ირკვევა, ის მთავარი პრინციპია, რომელსაც „ვისოლ ჯგუფის“ წარმომადგენლები, როგორც თავად ამბობენ, არასოდეს ღალატობენ და, რომელმაც მათ საკმაოდ ძვირადღირებული ლაბორატორიის შეძენისკენ უბიძგა. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ ლაბორატორიის პრეზენტაციის დღეს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ „სმარტის“ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი“ უწოდა.

სოსო ფხაკაძე:„სმარტის“ ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი დღეა. მაღალტექნოლოგიურ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიას ვამონტაჟებთ. ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნება საქართველოში კვების არც ერთ ობიექტს არ გააჩნია. ჩვენი ფილოსოფია არის ხარისხი. როცა „სმარტში“ მომხმარებელი შემოდის, არ აქვს მნიშვნელობა, რა პროდუქტს შეიძენს, მის მაღალ ხარისხში დარწმუნებული უნდა იყოს და არ უნდა ეშინოდეს. ესაა ჩვენი პრინციპი, რომელსაც არასოდეს ვუღალატებთ!“

აქ ყველა საამქრო, ხორცის იქნება, თევზის, პურ-ფუნთუშეულისა თუ საკონდიტრო, ერთმანეთისგან იზოლირებულია. პერსონალი ევროპული სტანდარტის შესაბამისადაა შემოსილი, რათა ნედლეულსა თუ პროდუქტს ხელით არ შეეხოს. ნებისმიერი პროდუქტი საამქროდან სპეციალური კონტეინერით, თავდახურული გადის, რომ არ დაბინძურდეს ან დაზიანდეს. თითოეულ საამქროში არის საათი, თითოეული პროდუქტის საამქროდან გატანის ზუსტი დრო რომ დაფიქსირდეს. პარალელურად, ყველა საამქროში კონტროლდება ტემპერატურა და ტენიანობა, რათა არ შეიქმნას მიკრობების გამრავლებისთვის ხელსაყრელი გარემო და მომხმარებელს ჯანსაღი, ხარისხიანი პროდუქტი შესთავაზონ. აი, ხარისხს კი, „სმარტში“ უკვე საკუთარ ლაბორატორიაში შეამოწმებენ. „სმარტის“ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსი **კახა მუხიგული** აცხადებს, რომ სუპერმარკეტების ქსელის წარმომადგენლები ამ ფაქტით უკვე ამაყობენ: **„საქართველოში კვების არც ერთ კომპანიას მსგავსი ლაბორატორია არ აქვს. „სმარტმა“ კი, პირველად საქართველოში საკუთარი მიკრობიოლოგიური ლაბორატორია შექმნა და მომხმარებლისთვის უმაღლესი ხარისხის, ჯანსაღი პროდუქტის მისაწოდებლად, ხარისხის კონტროლის სტანდარტები სრულყო.**

მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც „სმარტში“ დამონტაჟდა, საშუალებას გვაძლევს, მუდმივად და სრულყოფილადვაკონტროლოთ „სმარტის“ ქსელში რეალიზებული პროდუქტის ხარისხი და უვნებლობა, რათა გამოვრიცხოთ ახალ მზა კერძებსა თუ სხვა პროდუქტში (ხორცი, რძის პროდუქტი, ხილ-ბოსტნეული, ადგილობრივი წარმოებისა თუ იმპორტირებული პროდუქტი) ბაქტერიებისა თუ პარაზიტების არსებობა“.

კახა მუხიგულისვე განმარტებით, „სმარტის“ წარმომადგენლები, სხვადასხვა პროდუქტის რეალიზატორ კომპანიებთან ადგილზეც მიდიან და ხარისხი იქაც მუდმივად კონტროლდება.

ლაბორატორიაზე, როგორც მომხმარებლის უსაფრთხოების გარანტიაზე, ისაუბრა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ექსპერტმა **მატი ლამპიმ**:

„სმარტმა“ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფისთვის. საკუთარი მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის შექმნა „სმარტს“ შესაძლებლობას აძლევს, მუდმივად განახორციელოს პროდუქტისა და დამზადების პროცესის ანალიზი. ასევე — ყველა ბიოლოგიური ინდიკატორის ტესტირების საფუძველზე, უზრუნველყოს საკვები პროდუქტის უსაფრთხოება და მუდმივად შეინარჩუნოს წარმოებული პროდუქტის მაღალი ხარისხი“.

„სმარტის“ ახალ ლაბორატორიაში 50-მდე მიკრობიოლოგიური ანალიზი ტარდება. „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის განმარტებით, ეს აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, თითოეული მომხმარებელი დარწმუნებული იყოს — „ჩემი სუპერმარკეტის“ ქსელში ყველა პროდუქტი ჯანსაღია და რაც მთავარია, აქ არის ხარისხი, რომელსაც ვენდობით!

ნინო ლურსმანაშვილი

ვერსიანიუსი

ინგუშეთში, სავარაუდოდ, თამარ მეფის საფლავი აღმოაჩინეს

ინგუშეთში ავტოსაგზაო ბრიგადის მუშებმა მეწყერის ჩამოწოლის შედეგად, უძველესი გამოქვაბული აღმოაჩინეს, რომელშიც, ან ალანიის დედაქალაქის ძვირფასეულობაა დამალული, ან თამარ მეფის საფლავი. ინფორმაციას, „რია ნოვოსტი“ კრუპნოვის სახელობის არქეოლოგიური ცენტრის დირექტორის მოადგილე, უმალატ გადიევთან საუბრის შემდეგ ავრცელებს. გადიევის თქმით: **„წინასწარი ინფორმაციით, გზის მშენებლობისას, იქ, სადაც საერთაშორისო ტურნირი „მთებში შერკინება“ უნდა გამართულიყო, მეწყერი ჩამოწვა. გაწმენდითი სამუშაოებისას გამოჩნდა გამოქვაბული. მსგავსი გამოქვაბულები ინგუშეთში ადრეც არაერთხელ აღმოუჩენიათ, რომლებიც IX-XIV საუკუნეებით თარიღდება“.**

მისივე თქმით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღმოჩენილი გამოქვაბული თამარ მეფის საფლავია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ასეთივე გამოქვაბულში იყოს დამალული ალანიის დედაქალაქის, მაგასას ძვირფასეულობა. გადიევის განცხადებით, ამის შესახებ დადასტურებულად რაიმეს თქმა შეუძლებელია, სერიოზული მუშაობა უახლოეს მომავალში დაიწყება და ექსპერტიზაც ჩატარდება. გამოქვაბული უკვე მოინახულა ინგუშეთის პირველმა პირმა იუნუს-ბეკ ევკუროვმა. მან ადგილის დაცვის განკარგულება გასცა, რათა გამოქვაბულში უცხო პირები არ შევიდნენ.

ისტორიკოს მარიკა ლორთქიფანიძის აზრით, არ შეიძლება ინგუშეთში თამარ მეფის საფლავი იყოს: **„ალანიის დედაქალაქის ძვირფასეულობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არ შეიძლება ინგუშეთში თამარ მეფის საფლავი იყოს. რა უნდა ინგუშეთში თამარ მეფის საფლავს?! მართალია ჩრდილოეთ კავკასია მაშინ საქართველოს პოლიტიკურ გავლენაში იმყოფებოდა, მაგრამ რატომ უნდა დაესვენებინათ ინგუშეთში?! რაც მთავარია, სამმა ისტორიკოსმა, რომელთაგან ორი თამარ მეფის თანამედროვეა, ხოლო ერთი თამარის შვილის, ლაშა-გიორგისა, დაწერა ერთი და იგივე, რომ თამარი დაკრძალულია გელათში. ეჭვი არ მეპარება, თამარ მეფე გელათშია დაკრძალული“.**

„ინტერპრესნიუსი“

ფესტივალი TBILISI SUMMER SET FEST 2014 11-12 ივლისს გაიმართება

11-12 ივლისს „მათე მოტორსის“ ახალაშენებულ პავილიონში ფესტივალი TBILISI SUMMER SET FEST 2014 გაიმართება. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ეს არის ზაფხულის სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალი და მის ფარგლებში საქართველო მსოფლიო დონის ვარსკვლავებს უმასპინძლებს. ჯამში, ღონისძიებაზე, ორი დღის განმავლობაში, 10 უცხოელი და 20-მდე ქართველი არტისტი დაუკრავს. პროექტის მენეჯერის, ტატო ხარჩილავას განმარტებით: **„ფესტივალი უკვე მესამედ იმართება და წელს ქართველ და უცხოელ მსმენელს საფესტივალო ქალაქის ფარგლებში, ორ სხვადასხვა სცენას, რამდენიმე გასართობ ზონას და სპეციალურ ლაუნჯს ვთავაზობთ. 27 ივნისს გაიმართება ოფიციალური პრე-ფართი, რომელზეც გერმანული ტექნოს ლეგენდა თ დაუკრავს. ასევე მაყურებელი მედიის მეშვეობით გაიცნობს ფესტივალზე გამომსვლელ ახალგაზრდა თუ ვეტერან არტისტებს. ფესტივალის მიზანია, ქართველ მელომანებს მიეცეს საშუალება, ქვეყნიდან გაუსვლელად მოხვდნენ მსოფლიო დონის არტისტების შოუებზე, ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს ქვეყანა და ახალგაზრდა არტისტებისთვის მუსიკალურ პლატფორმად იქცეს“.**

ხარჩილავასვე თქმით, ფესტივალზე შემდეგი უცხოელი არტისტები მიიღებენ მონაწილეობას: Fritz Kalkbrener, Kolsh, Petar Dundov, Sun Glitters, Modeselektor, Moderat, Nathan Fake, Patrice Baumel, Nuno dos Santos da David August.

„ინტერპრესნიუსი“

რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შეტანა 26 მაისიდან აღდგება

რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, რუსეთის ბაზარზე გარკვეული სახის ქართული პროდუქციის შეტანა მიმდინარე წლის 26 მაისიდან აღდგება. სამსახურის განცხადებით, რუსეთის ბაზარზე აღდგება ქართული პომიდვრის, კიტრის, კომბოსტოს, ბადრიჯნის, ბლის, ალუბლის, გარგრის, ატმის, ქლიავის, ხურმის, კივისა და კენკრის მიწოდება.

ამასთან, უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე აღდგება ქართული ახალი კარტოფილის შეტანა იმ პირობით, რომ პროდუქცია გარეცხილი და სამომხმარებლო შეფუთვაში იქნება.

„ინტერპრესიუსი“

ზოგი დასახელების სიგარეტი გაძვირდა

რამდენიმე სავაჭრო ობიექტზე დაკვირვების შედეგად დამტკიცდა, რომ საქართველოში, ზოგი სახეობის სიგარეტი 20 თეთრითაა გაძვირებული. კერძოდ, გაძვირდა „ელ ემი“, „ჩესტერფილდი“, „მურატი“, „პარლამენტი“ და „მალბორო“. სავაჭრო ობიექტებში აცხადებენ, რომ აღნიშნული დასახელების სიგარეტების ფასი კომპანია „ფილიპ მორისმა“ გაზარდა.

მათივე ინფორმაციით, სხვა დასახელების სიგარეტებზე ფასი უცვლელია.

„ინტერპრესნიუსი“

ნაციონალებმა აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების კუთვნილი მილიონი ლარი მიითვისეს?

საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზატორი ბრალდებებს პასუხობს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდგომ საქველმოქმედო ვახშამზე შემოსული ერთი მილიონი ლარი აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს არ მიუღიათ. ორგანიზაციის თანადამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, მონიტორინგის შედეგად არ დადასტურდა საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზატორისა და მასპინძლის, საქართველოს ბიზნესასოციაციის ოფიციალური პოზიცია, რომლის თანახმად, მათ აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების სრული სია შეადგინეს. სიაში 400-მდე ოჯახია, რომელთაგან თითოეული, შემოსული თანხიდან, ერთჯერადად, 2 500 ლარს მიიღებდა. არ დადასტურდა კიდევ ერთი ფაქტი — საქართველოს ბიზნესასოციაციასა და საქველმოქმედო ღონისძიებასთან რაიმე ფორმით არ უთანამშრომლიათ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს, როგორც ეს ითქვა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონიტორინგის პროცესში, საქართველოს ბიზნესასოციაციისგან შეიტყვეს, თითქოს მათ სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიიღეს აგვისტოს ომში დაღუპულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა ოჯახების საკონტაქტო მონაცემები, საქველმოქმედო ვახშმის ფარგლებში შეგროვილი თანხით კი დაიფარა ღონისძიების ორგანიზების ხარჯები და ერთი მილიონი ლარი სრულად განაწილდა ომში დაღუპულთა ოჯახებზე — მათ კუთვნილი თანხა ჩაერიცხათ საბანკო ანგარიშებზე. ორგანიზაცია გაუმჭვირვალეს უწოდებს პროცესს, რა დროსაც, საქართველოს ბიზნესასოციაციას ერთი მილიონი ლარი, თანასწორუფლებიანად უნდა გადაეცა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოთხასამდე ოჯახისთვის: **„შესაბამისად, უცნობია, რეალურად რომელმა და რამდენმა ოჯახმა მიიღო დახმარება, რა ოდენობის თანხა გაიცა, ვინ იყო პროცესის გამჭვირვალობაზე პასუხისმგებელი და რატომ აკეთებენ საქართველოს სამინისტროები და ბიზნესასოციაცია საკითხთან დაკავშირებით შეუსაბამო შეფასებებს. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდგომ საქველმოქმედო ვახშამი, საქართველოს ბიზნესასოციაციის ინიციატივის ნაცვლად, ხელისუფლების ღონისძიება გახლდათ, საიდანაც შემოსული თანხა, ადგილნაცვალი პირების დახმარების მაგივრად, საღამოს საორგანიზაციო საკითხებს, მთლიანობაში კი ყოფილი მმართველი პარტიის ინტერესებს მოხმარდა“.**

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ბიზნესასოციაციას რეკომენდაციით მიმართავს, გამჭვირვალე გახადოს „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხის განკარგვის დანიშნულება და მიზნობრიობა; ასოციაციამ ფაქტობრივი მტკიცებულებით დაადასტუროს „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხის მიმღები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა 400-მდე ოჯახის ნამდვილობა; გამოაქვეყნოს „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხის მიმღებთა გეოგრაფიული არეალი და შერჩევის წესი;

„ვერსიის“ კითხვაზე, მიიღეს თუ არა შესაბამისი საჯარო განმარტებები ბიზნესასოციაციისგან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ დღემდე პასუხი არ მიუღიათ. ასოციაციამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმართა პროკურატურას.

„ვერსია“ საქართველოს ბიზნესასოციაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელს დაუკავშირდა. **მარიკა სპასიაშვილის** პასუხი ასეთია: **„ამ საკითხზე კომენტარს საერთოდ არ ვაკეთებთ. რთული არაა და ყველას შეუძლია აგვისტოს ომში დაღუპულების სია მოიძიოს და გადაამოწმოს, მიიღეს თუ არა ეს თანხა 2011 წელს. ხაზგასმით ვამბობ — საუბარია აგვისტოს ომში დაღუპულების 400-მდე ოჯახზე, განურჩევლად იმისა, ვინ სად ცხოვრობს. სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული სიებით ვიხელმძღვანელეთ. პროკურატურას უკვე მიმართეს და დაველოდებით გამოძიებას“.**

„ვერსია“ აღნიშნულ საკითხს თვალყურს მიადევნებს და როგორც კი შესაძლებელი გახდება, საზოგადოებას გამოძიების შედეგებსაც გააცნობს.

დარიალის ხეობის შემდეგ საფრთხე სტეფანწმინდას ემუქრება?

გეოლოგ სანდრო თვალჭრელიძის რეკომენდაცია სტიქიის თავიდან ასაცილებლად

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

გარემოს დაცვის სამინისტრო 17 მაისს დარიალის ხეობაში მომხდარი სტიქიური მოვლენის შესახებ გეოლოგების დასკვნას ავრცელებს. დოკუმენტის მიხედვით, ხეობაში წარმოქმნილი სტიქია მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებთანაა დაკავშირებული: **„დარიალის ხეობაში გველეთი-ცდოს მონაკვეთზე თერგისა და ამალი-დევდორაკის შეერთების უბანზე თერგის ხეობა ვიწრო კანიონია. მყინვარწვერის (5033 მ) ჩრდილოაღმოსავლეთ ციცაბო ფერდობზე, მთის წვერიდან დაახლოებით 400 მეტრის დაშორებით, 4602 მეტრ აბსოლუტურ სიმაღლეზე, 2014 წლის 17 მაისს დილის საათებში წარმოიშვა გრანდიოზული მოცულობის კლდეზვავი მყინვარულ-თოვლიან მასასთან ერთად. ჩამოზვავებული გრავიტაციულ-მყინვარული მასალა განაწილდა 3 ნაკადად, რომელთაგან მარცხენამ დინამიკურ ზონაში მოიქცია დევდორაკის მყინვარის ენა. პროცესი განვითარდა უხვი ატმოსფერული ნალექის (წვიმა) ფონზე, რამაც დამატებითი კატალიზატორის როლი შეასრულა. ატმოსფერული ნალექების თანხვედრის გარეშე, მყარი მასა ამ მოცულობით თერგამდე ვერ მიაღწევდა. გრავიტაციულ-ღვარცოფულმა ნაკადმა გადაკეტა თერგის კალაპოტი და შეაგუბა მდინარე 15-20 მეტრის სიღრმეზე.**

ვითარება კვლავ დაძაბულია, თუმცა დევდორაკის კალაპოტსა და ღვარცოფის კერის ზონაში დარჩენილი მყარი ნატანის ერთჯერადი ამოქმედებისა და ანალოგიური მოცულობის ნაკადის გამოტანა თერგის ხეობაში ნაკლებსავარაუდოა. მიუხედავად ამისა, სტიქიის გავრცელების არეალში მოქმედებს მუდმივი მონიტორინგული საგუშაგოები, სადაც გეოლოგები აკვირდებიან პროცესის დინამიკას. ამალი-დევდორაკის ხეობაში წარმოქმნილი სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენა დაკავშირებულია მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებთან“.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, **„სპეციალისტების შეფასებით, სტიქია 5047 მეტრი სიმაღლის მწვერვალის — მყინვარწვერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე განლაგებული დევდორაკის მყინვარის ინტენსიური მოძრაობის შედეგია“.**

რაც შეეხება კატასტროფასთან დარიალის ხეობაში ჰესის მშენებლობის კავშირს, უწყებაში აცხადებენ, რომ სპეციალისტების შეფასებით, ეს ორი ზონა გეოლოგიურად სრულიად განსხვავებულია: **„ჰესის მშენებლობის ადგილი 20 კილომეტრითაა დაშორებული სტიქიის ზონასთან და ამ მშენებლობას კავშირი არ აქვს კატასტროფასთან“.**

„მწვანე ალტერნატივა“ აცხადებს, რომ დევდორაკიდან სტიქიის შემოტევა, შესაძლოა, განმეორდეს. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მტკიცებით, დარიალჰესისა და ლარსიჰესის მშენებლობის ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემისას, გარემოს დაცვის არაერთი საკითხი უგულებელყვეს. იმ პრობლემების გარდა, რომლებიც შეექმნება ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივ და სოციალურ გარემოს, ჰესების დაპროექტებისას არ გაითვალისწინეს საფრთხე, რომელიც გეოლოგიური პროცესის შედეგად ენერგეტიკულ ობიექტებს და იქ დასაქმებულ ადამიანებს მოელის: **„2006 წელს დევდორაკიდან ჩამოწოლილმა მეწყერმა ადამიანი იმსხვერპლა. ამ საშიშროების შესახებ მხოლოდ ახლა საუბრობენ ჰესის მშენებელი კომპანიისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელებიც. არადა, საკითხს ყურადღება არ მიაქციეს ნებართვის გაცემამდე და ამ ნებართვის გაუქმების მოთხოვნით წარმართულ სასამართლო პროცესებზე“.**

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგელების თქმით, ჰესის მშენებლობისთვის შერჩეული მონაკვეთის ჰიდროლოგიური თავისებურებები ქმნის ისეთი საშიში პროცესებისა და სტიქიური მოვლენების განვითარების რისკს, როგორიცაა კლდეზვავი, ზვავი, ეროზია, შვავი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა, მდინარის ნაპირების ჩარეცხვა, შესაბამისად, საავტომობილო გზისა თუ ხიდების დაზიანება:

„ჰესის პროექტის შემუშავებისას, არ გაითვალისწინეს კლიმატის ცვლილების შედეგად მყინვარების დნობით გამოწვეული წყლისა და მყარი ნატანის ხარჯის ცვლილების საკითხიც. სამწუხაროდ, შესაძლებელია დევდორაკიდან სტიქიამ კვლავ შემოგვიტიოს, თუმცა ეს არ არის ერთადერთი ღვარცოფული მდინარე, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ამ პროექტის განხორციელებისთვის. ანალოგიური საშიშროებაა მოსალოდნელი ყუროსა და ჩხერისგან — ამ მდინარეების შეერთების ადგილასაა დაგეგმილი დარიალჰესის კაშხლის, სალექარისა და სათავე ნაგებობის აშენება“.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, პროექტის დამტკიცებული სახით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა, ასეთი შედეგი მივიღოთ: **„თერგის შენაკადებიდან წამოღებული ნატანი დაგროვდება ყუროსა და ჩხერეს შესართავებთან და თერგის კალაპოტი აიწევს. ღვარცოფული მდინარე ყურო თავის ჩამოტანილ მასალას ვეღარ გაატანს თერგს, დაგროვდება და გაავსებს ისედაც ვიწრო ყუროს ხეობას, შედეგად კი, საფრთხე შეექმნება დაბა სტეფანწმინდას. მსგავსი პროცესი შეიძლება განმეორდეს მდინარე ჩხერზეც, რომელიც თერგს იმავე ადგილას მარცხნიდან უერთდება“.**

შესაძლებელი იყო, დარიალის ხეობის კატასტროფა თავიდან აგვეცილებინა? „ვერსიამ“ ამ კითხვით პროფესიონალ გეოლოგს, 2004 წელს გაუქმებული გეოლოგიის დეპარტამენტის ბოლო თავმჯდომარეს, **სანდრო თვალჭრელიძეს** მიმართა: **„კატასტროფის სრულად აცილება შეუძლებელი იყო. კონტროლი და ღვარცოფის დაგეგმილი ჩამოსვლა კი შეიძლებოდა — გზა უნდა გადაგვეკეტა, რათა მის ქვეშ ხალხი არ მოქცეულიყო, ამის შემდეგ შეიძლებოდა მისი აფეთქება. მოკლედ, სტიქიის პრევენცია თუ არა, ხუთი საათით ადრე ხალხის გაფრთხილება მაინც შეიძლებოდა“.**

რა უნდა გაკეთდეს, მსგავსი უბედურება რომ არ განმეორდეს? სანდრო თვალჭრელიძის თქმით, უნდა შეიქმნას საქართველოს გეოლოგიური სამსახური, რომელსაც ცხელი წერტილების პერმანენტული მონიტორინგი დაეკისრება: **„ღვარცოფული საშიშროების 3 000-ზე მეტი ადგილია საქართველოში. მათი კლასიფიკაცია უნდა მოხდეს და 24-საათიან რეჟიმში მონიტორინგი უნდა მიმდინარეობდეს. ამას მხოლოდ მთავრობის დადგენილება სჭირდება“.**

13 ივნისს საქართველოს ქოზე მანუელ ბაროზო ეწვევა

ვიზიტის დეტალები პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს. შეხვედრაზე მთავარი აქცენტი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის საკითხებზე გაკეთდა, ასევე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესსა და ამ გზაზე მიღწეულ მნიშვნელოვან შედეგებზე. პრემიერ-მინისტრმა ევროკომისართან საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა. მხარეებმა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მიღწეულ პროგრესზე გაამახვილეს ყურადღება. პარალელურად, ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ფარგლებში დახმარების თაობაზე, ირაკლი ღარიბაშვილმა და ჟოზე მანუელ ბაროზომ მოაწერეს ხელი. ევროკავშირის ინიციატივის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ (EaP) პრიორიტეტების მხარდაჭერის მიზნით ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული იყო დახმარების ინსტრუმენტი — ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამა (CIB), რომელიც მიზნად ისახავს პარტნიორი ქვეყნების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებას და ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან (მათ შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შესახებ ხელშეკრულებასთან) დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერას. ინსტრუმენტი ასევე ითვალისწინებს იმ ინსტიტუტების საქმიანობათა გაუმჯობესებას, რომლებიც დაკავშირებულია გამარტივებული სავიზო რეჟიმის და რეადმისიის შეთანხმებასთან, ასევე მიგრაციის საკითხებთან.

„ვერსიანიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9		5	1			8		
7								
	1	8						
2	9			5			1	
		4	3		7	5		
	8			1			7	2
						2	8	
								5
		6			9	1		4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	7	5		3		2		
	6				9			7
					5			
1	9					3		
	5			4			7	
		3					2	1
			9					
6			7				8	
		9		8		7	4	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

6		3						4
			7				2	
	8			4	2			
	1					9		
9	7			2			5	3
		5					8	
			4	8			3	
	5				9			
2						6		7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

						9		7
		8		3	1		6	
5			9	6	8			
	8	7	4		3			
		6				5		
			2		6	7	9	
			6	2	9			4
	4		8	1		6		
6		9						

დაკრძალვა ინტერნეტით

ამიერიდან, ინტერნეტის მეშვეობით შეგიძლიათ, დაკრძალვის ონლაინმონაწილე გახდეთ — ასეთ მომსახურებას კლიენტებს ერთ-ერთი ბრიტანული კომპანია სთავაზობს იმ შემთხვევისთვის, თუკი რაიმე მიზეზის გამო, ვერ მოახერხეს ნათესავის ან ახლობლის დაკრძალვაში მონაწილეობა. გარდაცვლილთა ინტერნეტით დატირების იდეა მეტად უცნაურია, მაგრამ კომპანია, რომელმაც Wesley Music-ინტერნეტსერვისი აამუშავა, მომსახურებას ქვეყნის ყველა კრემატორიუმს სთავაზობს, დაკრძალვაზე „დასწრება“ კი მსურველებს 75 გირვანქა სტერლინგად (150 დოლარი) შეეძლებათ. მცირე ზომის კამერა, რომელიც ეკლესიის სამრეკლოზე იქნება დამონტაჟებული, პროცესიას ქსელის მეშვეობით პირდაპირ ეთერში გადასცემს. საიტის მომხმარებელს საჭირო პაროლი ეცოდინება და ცერემონიის ვირტუალური მონაწილეც გახდება. ახალი სისტემა უკვე აპრობირებულია ბრიტანეთის რამდენიმე დამკრძალავ ბიუროში. მათი წარმომადგენლების განცხადებით, ახალი სერვისის გამოყენებით უკვე სამი დაკრძალვა ჩატარდა, სადაც „მონაწილეობდნენ“ გარდაცვლილთა ნათესავები კანადიდან და ავსტრალიიდან.

მძარცველებს ინგლისურის სწავლა მიუსაჯეს

სამ ლათინოამერიკელ მამაკაცს, რომლებიც პენსილვანიის შტატში დააკავეს, სასამართლომ ინგლისურის შესწავლა მიუსაჯა. ახალგაზრდებს ბრალად გამვლელების ძარცვა ედებათ. სასამართლო პროცესზე სამივე განსასჯელს თარჯიმნის დახმარება დასჭირდა, რადგან არც ერთი ინგლისურად არ ლაპარაკობდა. განაჩენის მიხედვით, ლათინოამერიკელებს 4-დან 12 თვემდე პატიმრობა ელით, თუმცა მოსამართლე პიტერ ოლსევსკიმ გადაწყვიტა, ახალგაზრდებს დახმარებოდა — იმ პირობით გაათავისუფლა, რომ ენას ისწავლიან და აშშ-ში მუდმივ სამუშაოსაც იშოვიან, მაგრამ, თუ ერთი წლის შემდეგ ინგლისური ენის ტესტს ვერ ჩააბარებენ, სასჯელს ციხეში სრულად მოიხდიან.

ყოველდღიური შხაპი ტვინს „კლავს“?

შხაპის რეგულარულად მიღებამ შეიძლება ტვინის ფუნქციის მოშლა გამოიწვიოს, — ასეთ დასკვნებს ამერიკის უეიკ-ფორესტის უნივერსიტეტის მკვლევარები აკეთებენ. საქმე ისაა, რომ წყლის პროცედურების დროს ჩვენს მიერ შესუნთქული მანგანუმი, რომელსაც ონკანის წყალი შეიცავს, ორგანიზმს აზიანებს. სწავლულების თქმით, ეს ნივთიერება ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებს იწვევს. მანგანუმის ნეგატიური ზემოქმედება ტვინზე, შესაძლოა, სწავლისას, ქცევის ცვლილებისა კიდურების კანკალის მიზეზი გახდეს. აშშ-ში მანგანუმის დასაშვები კონცენტრაცია წყალში 0,5 მილიგრამია, ევროკავშირმა კი ეს მაჩვენებელი 0,05 მილიგრამამდე დაიყვანა.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	2	9	5	1	7	6	4	3
1	4	3	2	9	6	8	7	5
7	6	5	8	4	3	2	1	9
6	9	2	7	3	8	1	5	4
5	3	1	9	6	4	7	8	2
4	7	8	1	5	2	3	9	6
3	1	6	4	8	9	5	2	7
2	5	4	6	7	1	9	3	8
9	8	7	3	2	5	4	6	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	4	3	2	1	8	9	7	5
2	1	9	5	7	6	4	8	3
8	7	5	4	9	3	1	2	6
1	5	4	8	2	7	6	3	9
9	3	2	1	6	5	8	4	7
7	8	6	3	4	9	5	1	2
5	2	1	6	3	4	7	9	8
4	9	8	7	5	2	3	6	1
3	6	7	9	8	1	2	5	4

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	7	6	1	9	5	4	3	8
8	5	4	3	2	7	9	6	1
3	1	9	8	4	6	5	7	2
6	3	8	9	7	4	2	1	5
1	4	5	6	3	2	8	9	7
9	2	7	5	1	8	6	4	3
7	6	2	4	8	3	1	5	9
5	9	3	2	6	1	7	8	4
4	8	1	7	5	9	3	2	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	8	2	7	5	3	1	6	9
3	1	5	9	8	6	7	4	2
9	7	6	2	4	1	5	3	8
5	2	3	1	9	8	6	7	4
1	9	4	6	7	2	8	5	3
7	6	8	5	3	4	2	9	1
8	5	1	4	6	9	3	2	7
2	4	7	3	1	5	9	8	6
6	3	9	8	2	7	4	1	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	5	4	3	1	2	9	8	7
9	8	3	7	6	5	4	2	1
7	2	1	4	9	8	3	6	5
3	1	2	6	8	7	5	4	9
5	7	9	2	4	3	6	1	8
4	6	8	1	5	9	2	7	3
2	4	5	9	7	1	8	3	6
1	9	6	8	3	4	7	5	2
8	3	7	5	2	6	1	9	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	5	2	4	3	1	6	8	9
4	6	3	9	2	8	7	1	5
1	8	9	6	7	5	2	4	3
5	2	1	3	9	7	4	6	8
6	3	8	5	4	2	1	9	7
9	7	4	1	8	6	5	3	2
3	4	7	2	1	9	8	5	6
2	9	5	8	6	4	3	7	1
8	1	6	7	5	3	9	2	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	2	6	5	1	4	9	8	7
4	9	5	3	8	7	6	2	1
1	8	7	2	9	6	5	4	3
2	6	4	7	3	8	1	9	5
9	1	8	6	5	2	7	3	4
7	5	3	9	4	1	2	6	8
8	3	2	1	7	9	4	5	6
6	4	1	8	2	5	3	7	9
5	7	9	4	6	3	8	1	2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	1	9	2	7	8	3	6	5
5	3	8	1	6	4	2	9	7
2	7	6	3	9	5	8	1	4
8	2	3	9	1	7	4	5	6
9	6	1	4	5	3	7	8	2
7	5	4	8	2	6	1	3	9
3	9	5	7	8	2	6	4	1
6	8	2	5	4	1	9	7	3
1	4	7	6	3	9	5	2	8

მე-10 გვერდი: 1. მარტიროლოგი; 2. გრენობლი; 3. „მაესტრო“; 4. რასპე; 5. იდეა; 6. გინგივიტი; 7. ესმერალდა; 8. ოფსაიდი; 9. ლედი; 10. სექსტეტი; 11. ნემანია; 12. კეისარი; 13. სადგისი; 14. ნემესიდა; 15. ორეადა; 16. ბოარნე; 17. ლიმონა; 18. კენტი; 19. პინო; 20. ბიორკი; 21. ერე; 22. არდონი; 23. ანოსმია; 24. კაფე; 25. ლეია; 26. რკო; 27. რომბი; 28. საგარეჯო; 29. ითაკა; 30. ადიტი; 31. რილეევი; 32. ჯენიფერ ლოპესი; 33. ირი; 34. დავითი; 35. არენა; 36. კანკანი; 37. როსელინი; 38. ათი; 39. კორიფე; 40. მაქს; 41. აპისი; 42. ელინი; 43. მი; 44. ნუგა; 45. რაეო; 46. თეკერეი; 47. ავი; 48. პანი; 49. სეიფი; 50. ალ; 51. ვაზი; 52. რეიკიავიკი; 53. პაი; 54. ფიჭვი; 55. რაფია; 56. გეოგრაფია; 57. გვენ; 58. ედო; 59. ოდა;

მე-12 გვერდი: 1. ავანგი, 2. ვალაბი; 3. ნინოშვილი; 4. მტრედი; 5. ტენოჩტიტლანი; 6. ელმავალი; 7. სლენგი; 8. არვიდას; 9. აუტი; 10. ანემია; 11. ერერა; 12. აპიტოქსინი; 13. გიდი; 14. ხალი; 15. აბაშა; 16. რჩევა; 17. ვიტ; 18. ლუვრი; 19. ტრაპი; 20. იელი; 21. იაო; 22. გიგზი; 23. კადრილი; 24. ვაიმარი; 25. სტრიტი; 26. რინიტი; 27. კონჩიტა ვურსტი; 28. ექო; 29. გედი; 30. ანტონ; 31. ოროველა; 32. ეჩო; 33. ალა; 34. ასლი; 35. ნიტი; 36. ზრო; 37. ანრი; 38. სიუ; 39. „ლორეალი“; 40. ბატატი; 41. ზმაი; 42. ატრევსი; 43. იდიოტია; 44. კარატე; 45. სეკრეტერი; 46. ლისაბონი; 47. არიელი; 48. არუე; 49. ეტოო; 50. კარლეს; 51. ალონიმი; 52. დამანა; 53. რონა; 54. ერე; 55. ლისტი; 56. ხალა; 57. მალა; 58. ჰავაი; 59. ანუი; 60. ხარება; 61. ფურორი; 62. სოკერი; 63. ლი; 64. ფაუნა; 65. რეტორტა; 66. ხამსე; 67. რვალი; 68. აიაჩო; 69. თეო; 70. სოსია; 71. მარეი; 72. ნეი; 73. მთა; 74. პა; 75. ორბი; 76. ინო; 77. ორტი; 78. პიერ; 79. რიხი; 80. ბაალი; 81. მაჩეტე; 82. ატმორი; 83. ანოა; 84. ეროს; 85. დოსიე; 86. „იარონ“.



1.ზოოლოგიის დარგი, რომელიც ქვეწარმავლებს სწავლობს
2. გამოუწვავი აგური
3. დროის შვიდდღიანი მონაკვეთი
4.შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი
5. სალვადორ დალის მეუღლე
6. აშშ-ის პირველი პრეზიდენტი
7. ადამიანის ენერგია, აქტივობა
8. წიწვოვანი ხე
9. ჯოჯოხეთის ცეცხლი
10.ზღვაში მცხოვრები ბიბლიური ურჩხული
11. ბამბის მკვრივი ქსოვილი
12.ავტორი რომანისა „პარფიუმერი“
13.ყოფილი ფრანგი ჩოგბურთელი
14.დიდი კოლუმბიელი მწერალი
15. გამოჩენილი ესპანელი ფერმწერი
16. ვალიკო მიზანდარის ძაღლი
17. პირისახის ძვალი
18. ამაზონის დელფინი
19. საოპერო პარტია
20. გუთნის „წინაპარი“
21. აალებადი ფეთქებადი ნარევი
22. საფუძველი, ფუნდამენტი
23.რაიმე საბუთის მეორე პირი
24.სამი წერტილი კამათელზე
25. ტომ სოიერის დეიდა
26. დიონისეს კვერთხი
27. ხეთების სამეფოს დედაქალაქი
28. კონცერნ „ფიატის“ დამარსებელი
29. სპარსეთის დიდი შაჰი
30. ხორვატიის კუნძული
31. გეომეტრიულ სიდიდეთა გრაფიკი
32. სამხედრო წოდება
33. მადლობა - იტალიურად
34. ქართული კონიაკის მარკა
35.მდინარის მონაკვეთი ორ კაშხალს შუა
36.ოსტაპ ბენდერის კომპანიონი
37. მდინარის ღრმა ხეობა
38. მარგარიტა გოტიეს საყვარელი ყვავილი
39. ჭადრაკის დედოფლის სახელი
40.სამკორპუსიანი სატვირთო გემი
41. მსახიობი ... კრუზი
42.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
43.ყველაზე დიდი კანარის კუნძულებში
44.ძაღლის ნაშიერი
45.ქალაქი ინგლისში
46. დამუხტული ატომი
47. მსახიობი ... ზეტა ჯონსი
48. მოჭკოვანი მცენარე
49. ქართული ანბანის მე-17 ასო
50. VI ნოტი
51.სოფ. სენაკის რ-ში
52. ხრიკი, ფანდი
53. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
54. ჩინური ავტომარკა
55. ინგლისელი მწერალი ივლინ...
56. ... აპოლინერი
57.ბიბლ. პატრიარქი
58. ჩონჩხის ნაწილების შემაერთებელი ბოჭკოვანი ქსოვილი
59. „ცოდნის წყარო“
60. რაჭის უდიდესი ქალაქი
61. ვარდისთვე
62. მსახიობი ... დელონი
63. ბირმის ფულის ერთეული
64.დაქირავებული ჯარისკაცი იაპონიაში

იყიდეთ სახლი და გაიხანგრძლივეთ სიცოცხლე

ამერიკელმა დიზაინერებმა დააპროექტეს სახლი, რომელიც მფლობელის იმუნურ სისტემას ასტიმულირებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ასეთი სახლი მყიდველს ლონგ-აილენდზე ელის, რომელიც არქიტექტორებს 2 მილიონი დოლარი დაუჯდათ. სახლი, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში შეიძინეს ანონიმურმა ინვესტორებმა, უკვე მზადაა საცხოვრებლად და მისი მფლობელის გასაახალგაზრდავებლად. ავტორები — 71 წლის დიზაინერი ურეკავა და მისი 66 წლის მეუღლე მედლინ ჯინსი ამტკიცებენ, რომ მათ მიერ აშენებული სახლი მაცხოვრებლებს მუდმივად „ტონუსში“ ამყოფებს. ამ სახლში უსწორმასწორო იატაკი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფანჯრები, 40 სხვადასხვა ფერად შეღებილი კედლები და განათების არასტანდარტული სისტემაა, რამაც ადამიანს ორმაგ სივრცეში არსებობის შეგრძნება უნდა გაუჩინოს. დიზაინერების თქმით, კომფორტი სიკვდილს აახლოებს, მათი სახლი კი მაცხოვრებელს გარშემომყოფებთან ე.წ. საორიენტაციო ურთიერთობაში ამყოფებს და ახალგაზრდობას შეუნარჩუნებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

უმუშევარს მილიონი იენი „გაუგზავნეს“

61 წლის იაპონელი ქალაქ ნარადან გაკვირვებული დარჩა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს, საფოსტო ყუთში ფულის ბანკნოტების დასტა აღმოაჩინა. მილიონ იენს (დაახლოებით 13 ათასი დოლარი) წერილი ერთვოდა: „გთხოვთ, ეს ფული თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენეთ“. წერილს ქალაქ ოსაკას რუკის ქსეროასლიც ახლდა. იმის ნაცვლად, რომ წერილის ავტორისთვის დაეჯერებინა, უმუშევარმა იაპონელმა ნაპოვნი ფული პოლიციაში წაიღო. გამომგზავნს ივნისის ბოლომდე მისი დაბრუნება შეუძლია, სხვა შემთხვევაში, თანხა მპოვნელს დაუბრუნდება. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა უცნობები მსხვილ თანხას საფოსტო ყუთებში ტოვებენ. მაგალითად, შარშან კიოტოში 67 წლის ქალმა კონვერტი მიიღო, რომელშიც 10 მილიონი იენი (100 ათას დოლარზე მეტი) იდო.

პარკინსონის დაავადების სიმპტომი უნოსვის დაკარგვაა



თუ ველარ გრძნობთ საყვარელი სუნამოს არომატს, დროა, კონსულტაციისთვის ნევროლოგს მიმართოთ, რადგან ეს, შესაძლოა, პარკინსონის დაავადების ადრეული სტადიის ნიშანი იყოს. ჰონოლულუს ჯანმრთელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების გამოკვლევამ, რომელშიც 2 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, აჩვენა, რომ სუნის იდენტიფიცირების უნარის არარსებობა ხელს უწყობს დეგენერაციული დაავადების განვითარებას. მედიკოსებმა დააფიქსირეს, რომ ხანდაზმული ასაკი, დიდი რაოდენობით ყავისა და თამბაქოს მოხმარება ასეთი სიმპტომის გაჩენის რისკფაქტორებია, ყნოსვის დაკარგვა კი ხუთჯერ ზრდის შემეცნებითი დისფუნქციის რისკს. ექიმების მოსაზრებით, ყნოსვის დაკარგვა იწყება ორი წლით ადრე, ვიდრე ადამიანს პარკინსონის დიაგნოზი გამოუვლინდება. სწავლულთა განმარტებით, ამ დროს თავის ტვინში ნელ-ნელა ნერვების გადაგვარების პროცესი მიმდინარეობს. ეს პათოლოგია ბოლომდე შესწავლილი არ არის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ნეირონებში არასწორი ცილების ფორმირება ყნოსვითი რეცეპტორების დაკარგვის მარკერი შეიძლება იყოს.

სუდოკუ

ადვილი

	7							9
5		9						
	6		7	9		3		
4	5			6	3	7		
		7				2		
		2	9	7			5	4
		8		5	9		3	
						9		5
2							4	

სტანდარტი

4			7		6	1		
		5	9				7	
	9			3	2		5	
		2					8	5
5	4					9		
	5		2	7			9	
	8				9	3		
		7	3		8			1

რთული

9	6	3			4			
	7			6		8	4	
	8					9		
	5	2		3	9			4
				5				
8			1	4		5	3	
		9					2	
	2	8		9			1	
			4			7	6	9

ექსპერტი

		1	5			8		
6		7	4		1			
5						6	2	1
							5	
4		2		7		9		8
	6							
9	5	6						4
			3		4	1		5
		4			7	2		

ძაღლის ნაკბენისთვის ასტრონომიულ თანხას ითხოვს

ნიუ-იორკელმა ანტონ პურისიმამ ცოფიანი ძაღლის ნაკბენისთვის რეკორდული კომპენსაცია — 2 უნდეცილიონი დოლარი მოითხოვა სასამართლოში. პურისიმას 22-გვერდიან სარჩელში მოპასუხე მხარე ქალაქის სატრანსპორტო დეპარტამენტი, მაღაზია, ორი ადგილობრივი საავადმყოფო და ძაღლის პატრონია, რომელთა წინააღმდეგ მამაკაცმა უამრავი ბრალდება წამოაყენა — მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევიდან, მკვლელობის მცდელობამდე. მოსარჩელის განცხადებით, ავტობუსში ცოფიანმა ძაღლმა უკბინა, კლინიკაში ჩინელების უცნობმა წყვილმა ფოტოები გადაუღო იმ დროს, როცა მედიკოსები დახმარებას უწევდნენ. პურისიმა ამტკიცებს, რომ ტანჯვა, რომელიც მიადგა, ფულით არ იზომება და ამიტომ „შეუფასებელია“. მამაკაცი სასამართლოში საკუთარი თავის დაცვას აპირებს, თუმცა, როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, მოსარჩელეს ამ საქმის მოგების შანსი პრაქტიკულად არ აქვს.

ჩინელები იმქვეყნად თეთრეულსაც „გზავნიან“

მკვდრებსაც სჭირდებათ საცვლები, — ასე ფიქრობს ზოგიერთი ჩინელი. მალაიზიელებმა დიდი რაოდენობით ქაღალდის ბიუსტჰალტერი თუ ქვედა საცვლები შეიძინეს და დაწვეს გარდაცვლილთათვის ფესტივალ „ცინ-მინის“ დროს. საერთოდ, ჩინეთში ფულის ან მატერიალური კეთილდღეობის გამომხატველი სხვადასხვა საგნის მინიატურული მოდელების დაწვის ტრადიციაა, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი წინაპრები ამ ყველაფერს იმქვეყნად აუცილებლად მიიღებენ.

იაპონელები ფეხილებს რობოტებს ანდობენ

იაპონელმა სპეციალისტებმა ელექტროძიძა შექმნეს, რომელიც სულ კარგ ხასიათზეა და შეუძლია, პატარებს ნებისმიერ დროს მიხედოს. 1,4-მეტრიანი „ძიძა“ Tmusk ქალაქ ფუკუოკას სუპერმარკეტებში გამოჩნდა. იქ შესულმა მშობლებმა რობოტს ბავშვის მეთვალყურეობა რომ დაავალონ, საკმარისია პატარას სპეციალური „ბეიჯი“ მიამაგრონ, რომელზეც ამ მანქანისთვის გასაგები კოდია დადებული. ელექტროძიძას შეუძლია, ბავშვები ასაკისა და სახელების მიხედვით გაარჩიოს, „გაესაუბროს“, მიუხედავად შეზღუდული სასაუბრო ლექსიკონისა. რობოტს განსაკუთრებული თვალებიც აქვს — ისინი იმავდროულად, პროექტორების როლსაც ასრულებს, რაც საშუალებას იძლევა, „ძიძამ“ სარეკლამო რგოლები და ის ფოტოები აჩვენოს, რომელსაც მეორე თვალში ჩაყენებული კამერით იღებს. ძიძარობოტის ავტორი კომპანია Tmusk-ია, რომელიც დღემდე ექსპერიმენტებს ატარებს ამ რკინის მანქანებზე.

ყავა მაღვიძარას ფუნქციით

ყავის მწარმოებელმა პოპულარულმა ბრენდმა Nescafe საკუთარ მომხმარებელს პროდუქტის ახალი, ინოვაციური შეფუთვა შესთავაზა. რაკიღა თავად ეს „ღვთაებრივი სასმელი“ გამოფხიზლებასთან ასოცირდება, კომპანიამ ნაწარმის ახალ შეფუთვას მაღვიძარას ფუნქცია შემატა. თუკი დილით ადგომა დაგეზარებათ, ყავის თავსახური სასურველ დროს სასიამოვნო ხმას გამოსცემს და გაანათებს. როცა უკვე გამოგაფხიზლებთ, მაღვიძარას გამოსართავად მხოლოდ ყავის დალევის სურვილი და ქილისთვის თავსახურის მოხსნაა საჭირო.

„მორალური კოდექსი“ სახელმწიფო მოხელეებისთვის

სახელმწიფო სამსახურის მიმართ მოქალაქეების ინტერესი რომ გააღვივონ, სერბეთის ხელისუფლება სპეციალური წესების შემოღებას აპირებს, რომელიც მოსახლეობაში სახელმწიფო მოხელეების მიმართ დადებით განწყობას შექმნის. საჯარო მოსამსახურეების „ქცევის კოდექსში“ წერია, რომ უნდა იყვნენ კეთილსინდისიერები და პროფესიონალურად იქცეოდნენ, გასცენ სანდო და დროული ინფორმაცია, პატივი სცენ მოქალაქეების ღირსებას... „მორალური კოდექსი“ კრძალავს სხვის საქმეებში „ცხვირის ჩაყოფას“ და მოხელეთა გარეგნობასაც ეხება. კერძოდ, მათ არ უნდა ეცვათ ძალიან მოკლე ქვედაბოლოები და დეკოლტე, იკრძალება შორტი და გამჭვირვალე კოფთა.

გლობალური დათბობა სიბრძალვით გვემუქრება

დიდი ხანია დამტკიცდა, რომ კლიმატის გლობალური ცვლილება ნეგატიურად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. მეცნიერებმა დამატებით ისიც დაადგინეს, რომ გლობალურმა დათბობამ, შესაძლოა, კატარაქტას განვითარების რისკი გაზარდოს. ასეთი საფრთხე მავნე ულტრაიისფერი სხივების ძლიერი ზემოქმედების გამო გვემუქრება, ამ დაავადებას კი სამ ძირითად ფაქტორს უკავშირებენ: ხანდაზმულობა, მოწევა და ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება. სწავლულები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჩვენი მხედველობისთვის განსაკუთრებით მავნეა ასევე ოზონის ფენის დაშლა, რაც კატარაქტას განვითარების რისკს ზრდის და გვაფრთხილებენ, რომ სტატისტიკის მიხედვით, სიბრმავის ყოველი მეორე შემთხვევა სწორედ კატარაქტას ბრალია.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

1. ცხოველთა მკურნალი ექიმი
2. იაპონური ალუბალი
3. ბადმინტონის „ბურთი“
4. პომიდვრის წვენი
5. ნახატებიანი გამოცანა
6. სამახსოვრო საჩუქარი
7. პროპელერიანი კაცუნა
8. ფრანგული ავტომარკა
9. მიამიტი ქალის როლის შემსრულებელი მსახ. ამპლუა
10. დედალოსის ურჩი ვაჟი
11. მუს. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი
12. ერთგვარი დიდი ხვლიკი
13. მათემატიკის უმარტივესი განყოფილება
14. ნარინჯისფერი ბოსტნეული
15. სიმინდის ყვავილედი
16. ბამბის მტკიცე პრიალა ქსოვილი
17. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
18. „ფსევდონიმი“ ინტერნეტში
19. ედირნეს ბერძნული სახელი
20. ქალაქი თურქეთში
21. საქართველოს საზღვაო პორტი
22. ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი
23. ჩქარი ტემპი მუსიკაში
24.იაპონელი რეჟისორი ... კუროსავა
25. ნესვის ხე
26. „ვინი პუჰის“ ავტორი
27. მეგრული ხალხური სიმღერა
28. იგივეა, რაც სიფილისი
29. ნახევრადძვირფასი ქვა
30. ბონოს ნამდვილი სახელი და გვარი
31. ქაჯანას და
32. ესტონეთის დედაქალაქი
33. ძველებური სამეჯლისო ცეკვა
34. ... ულენშპიგელი
35. ხელით სატარებელი ორთვალა საზიდარი
36. პარიზის მუზეუმი
37. დიდი თეფში
38. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
39. სასულე მუსიკალური საკრავი
40.შეჩერდი!! საგზ. ნიშნ
41.ამერიკელი ფილანთროპი
42. ცნობილი იაპონელი დიზაინერი იოჯი ...
43. თვითმფრინავის კიბე
44.მსახ. ... ლემონი
45.თურქეთის ვალუტა
46. ლითონის თხელი ფურცელი
47. კვერცხის შესაწოვავი ჭურჭელი
48. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
49. შვედური ავტომობილი
50. ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი
51. შაქრის ლერწმის ჭრა კუბაში
52.(მოძვ.) თაიგული
53. მუსიკალური გამის V ნოტი
54. რამინის სატრფო
55. მდინარე ავსტრიაში
56. საჭმელების სია რესტორანში
57.ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
58. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
59. წუხილი, ვარამი
60. ამერიკული როკჯგუფი
61. ჩინური ჭინჭარი
62. ფრანგული ყველის მარკა
63. სამიზნე თოფის ლულაზე
64. ალ. ბელიაევის პერსონაჟი პროფესორი ...
65.სმენის არმქონე
66.მსახიობი ... გრანტი
67. ბერძნული ანბანის მესამე ასო
68. ბალახის ჩრდილი
69. სოფელი წყალტუბოს რაიონში
70. ცხენების ჯოგი
71. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
72. თუთიყუშის ჯიში
73. მდინარე იტალიაში
74. ლეგენდარული რუმინელი ჩოგბურთელი ... ნასტასე
75. წარსულში ცნობილი იტალიელი კომიკოსი
76. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
77. იაპონური თეატრის სახეობა
78.ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით)
79. „ვეფხისტყაოსანი“ პერსონაჟი
80. მუსიკალური გამის II ნოტი
81.იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია
82. სპილენძერგის უცხოპლანეტელი
83.ბაზრობით განთქმული თბილისის გარეუბანი

ტროტუარზე სიარულისთვის დაჯარიმეს

კანადელი მამაკაცი 113 დოლარითა და 10 ცენტით დააჯარიმეს იმის გამო, რომ ტროტუარზე მეგობრების მხარდამხარ მიდიოდა. საქმე ისაა, რომ ქალაქში მოქმედი კანონი კრძალავს ფეხით მოსიარულეების მოძრაობას საავტომობილო გზის გასწვრივ, სადაც არ არის ისეთი ტროტუარი, რომელიც ორ რიგზე მეტს იტევს, ვინიპეგელების უმრავლესობამ კი, ალბათ, არც იცის ამ კანონის შესახებ. როგორც დაჯარიმებულის მეგობარი აცხადებს, იმ ადგილას, სადაც მამაკაცს ჯარიმა გამოუწერეს, ტროტუარზე ოთხი-ხუთი ადამიანიც კი გაივლის ერთ რიგად. სწორედ ამ მეგობარმა მიაქცია ყურადღება „პოლიციელების თავაშვებულობას“ და ჯარიმის ქვითრის ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. მეგობრის დახმარების სურვილმა შედეგიც გამოიღო — საზოგადოების მხრიდან ატეხილი ხმაურის შემდეგ პოლიციის სამმართველომ იმავე დღეს გაანულა ჯარიმა და მას თანამშრომლის შეცდომა უწოდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.